განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში

სამაგისტრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები

2021 წლის 2-3 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

28.09.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში Live Theatre Arts: Acting and Directing
უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	1. თეატრის რეჟისურის მაგისტრი / Master of Directing 2. სამსახიობო ხელოვნების მაგისტრი / Master of Acting
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	N/A
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო გუნია-კუზნეცოვა -სცენოგრაფი; ევროსაბჭოსა და კულტურის კომპარატიული კვლევების ევროპული ინსტიტუტის (ERICarts) პროექტის "COMPENDIUM Cultural Policies and Trends in Europe" კულტურის პოლიტიკის ნაციონალური ექსპერტი; საქართველოს კულტურსა და სპორტის სამინისტროს კულტურის სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფის წევრი. საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამაზ ბოლქვაძე - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	რეჟისორი, მხატვარი საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ქანთარია სსიპ-საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასისტენტ-პროფესორი რეჟისორი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი. საქართველო.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ***ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში*** - შემუშავდა 2019-2020 წლებში. შემუშავების პროცესში გამოყენებული იყო საერთაშორისო და ქართული თეატრალური პედაგოგიური პრაქტიკის საუკეთესო მაგალითები. პროგრამის ექსკლუზიურობა რეჟისორისა და მსახიობის თანამშრომლობის და შემოქმედებით შედეგზე ორიენტირებულ, ერთობლივ სწავლების პროცესში მდგომარეობს.

„პროგრამის მიზანია შეუქმნას მომავალ რეჟისორებსა და მსახიობებს საშემსრულებლო პრაქტიკასთან ინტეგრირებული გარემო და მოქმედ თეატრში სახელოსნოს პრინციპებზე დაფუძნებული მუშაობით მისცეს მათ საშუალება თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი მიმართულებით (რეჟისურა ან სამსახიობო ხელოვნება), ახალი ცოდნის შეძენის საფუძველზე, განავითარონ საკუთარი ინდივიდუალური შემოქმედებითი ხედვა და გააღრმავონ სპექტაკლის თანაავტორობით შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რათა მზად იყვნენ როგორც დამოუკიდებელი პროფესიული წინსვლისთვის, ისე კონკურენტუნარიანი გარემოს შესაქმნელად თეატრალური ხელოვნების სფეროში. “ (ციტატა)

პროგრამა მიმართულია ქართულ თეატრში არსებულ გამოწვევების დაძლევასა და სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნაზე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებით. ის ორიენტირებულია სასწავლო პროცესის მაქსიმალურ მიახლოვებაზე ცოცხალ, რეალურ თეატრალურ პროცესთან. ეს მრავალმრივ განვითარებული კადრების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება სახელოსნოს პრინციპს და თავისი სტრუქტურით და შინაარსით ორიენტრებულია პრაქტიკულ სწავლებაზე, ხოლო მასში შემავალი ყველა პრაქტიკული კურსი მოქმედ თეატრში სარეპერტუარო სპექტაკლის დადგმის/თამაშის გამოცდილებაზე და თეატრალური პროდუქტის შექმნაზეა მიმართული. პროგრამის თეორიული კურსები ემსახურება ანალიტიკური და კვლევითი უნარების გაღრმავებას.

პროგრამის მაიდინტიფიცირებელი ელემენტია ექსტრაკურიკულარული აქტივობების ერთობა; კერძოდ, მსახიობების და რეჟისორებისათვის დაგეგმილია:

1. ასისტირება სხვადასხვა თეატრებში;
2. სტაჟირება საშუალო სკოლებში თეატრალური ხელოვნების მიმართულებით;
3. თეატრალური ხელოვნების სხვადასხვა სპეციფიკის მასტერკლასების გავლა რეალურ თეატრალურ გარემოში;
4. ახალი ცოდნის და გამოცდილების გაზიარება თეატრალურ სტუდიებთან, რეგიონულ თეატრებთან თანამშრომლობით;
5. ახალი, თანამედროვე პიესების კითხვა და განხილვა;
6. ფესტივალებში მონაწილეობა;
7. სხვადასხვა სახელოვნებო სახელოსნოებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროდუქციის შექმნა.

ექსტრაკურიკულარული აქტივობები ემსახურება როგორც დამატებითი გამოცდილების და ცოდნის განვითარებას სტუდენტებში, ასევე სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას სხვადასხვა თეატრებსა და, ზოგადად, საქართველოს თეატრალურ სივრცეში.
ახალი საგანმანათლებლო პროგრამა "ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში" დარგის გამოწვევებსა და საჭიროებებს პასუხობს; ის შექმნილია დარგის პროფესიონალებთან და პოტენციურ სტუდენტებთან კონსულტაციების შედეგად, სპეციალური კვლევის საფუძველზე.
პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. პროგრამის სტრუქტურა, მისი კომპონენტების ერთობლიობა, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის სწავლის შედეგების აღმწერის შესაბამისად, უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების **N** MES 7 21 0000752816 – 29.07.2021 (აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ცოცხალი თეატრის ხელოვნება დადგმა და თამაშის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შესახებ) საფუძველზე 2021 წლის 2 სექტემბერს ონლაინ რეჟიმში; 3 სექტემბერს განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მისამართზე: ილია ჭავჭავაძის გამზირი #32 (უნივერსიტეტის A, C და D კორპუსები და ილიაუნის თეატრი).

ვიზიტის წინ, 1 სექტემბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული იყო zoom ფორმატში ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, რომელიც დაიწყო 12.00 საათზე; 14.00 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც 2 და 3 სექტემბერს დაგეგმილი ვიზიტის ინტერვიურების პროცესში დაისვა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
2 სექტემბერს სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ონლაინ ვიზიტის ფარგლებში 10.00 საათზე დაიწყო და 18.00 საათამდე გაგრძელდა სამუშაო შეხვედრები პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ პედაგოგებთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან.
სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.
3 სექტემბერს განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, საგრიმიოროები, სარეპეტიციო სტუდიები, თეატრის დარბაზი, და ა.შ) დათვალიერება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის **ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში** აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გადამოწმების შედეგად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით, **დადგინდა, რომ პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

- **რეკომენდაციები**

კომპონენტი: ***2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები***

- რეკომენდირებულია, **პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაემატოს**: „სამსახიობო ოსტატობის მიმართულებით ჩაბარების მსურველთათვის აუცილებელია 3 წლის პრაქტიკა შესაბამის სახელოვნებო სფეროში, კერძოდ, **სამსახიობო გამოცდილება.**"

კომპონენტი: ***2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი***

- რეკომენდირებულია, **პროგრამაში მითითებული კრედიტები მოვიდეს შესაბამისობაში „სემესტრულ სასწავლო გეგმასთან“ და სილაბუსებთან მიმართებაში.** კერძოდ, „სემესტრულ სასწავლო გეგმასა“ და სასწავლო კურსის „სივრცის დიზაინის“ სილაბუსში მითითებულია 6 კრედიტი, ხოლო პროგრამაში ამ კურსს მინიჭებული აქვს 3 კრედიტი. გამოსწორდეს ეს შეუსაბამობა და პროგრამაში კურსების ჩამონათვალში იგივე დასახელების კურსის 3 კრედიტი გადასწორდეს 6 კრედიტზე.

კომპონენტი: ***2.3. სასწავლო კურსი***

რეკომენდირებულია, ცვლილებები შევიდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში. კერძოდ:

- სილაბუსში **„პერფორმანსი და ინსტალაცია /პრაქტიკული კურსი“** მკაფიოდ გაიწეროს სწავლის მეთოდები, პრაქტიკული დავალებების თემები და შინაარსი, და სწავლის შედეგები; სავარჯიშოების/დავალებების აღწერა მოხდეს იმ ხელოვნების დარგის მითითებით, რომელშიც ის სრულდება (საშემსრულებლო ანდა ვიზუალური ხელოვნება).
- სილაბუსში **„სივრცის დიზაინი“** კურსის ორმაგი პრაქტიკულ-თორიული ხასიათიდან გამომდინარე:
  - ა) მკაფიოდ გაიწეროს პრაქტიკული ნაწილები - თემები და განსაკუთრებით პრაქტიკული სავარჯიშოები/დავალებები (შინაარსი); მათი შეფასების კრიტერიუმები;
  - ბ)მკაფიოდ გაიწეროს თეორიული ნაწილის დავალებები და მათი შეფასებები;
  - გ) მკაფიოდ გაიწეროს შესაბამისი სწავლების პრაქტიკული და თეორიული მეთოდები და კურსის სწავლების შედეგები.

კომპონენტი: 2.5 ***სწავლება-სწავლის მეთოდები***

- რეკომედებულია, ზოგიერთ პრაქტიკულ კურსებში, ასევე ზოგიერთ თეორიულ კურსში, სადაც არის შეფასებული წერითი ნაშრომი, როგორც საშინაო დავალება, შუალედური ანდა საბოლო გამოცდა, **შესაბამისობაში მოყვანილ იქნას სწავლების მეთოდები შეფასებასთან; კურსების** („მოძრაობა და თეატრი “ „მსახიობის ოსტატობა 1, 2“; „დრამის რეჟისურა 1, 2“ „პრაქტიკა ოპერისა და ბალეტის თატრში“, „სანამ რეპეტიცია დაიწყება“, „სიმღერის ხელოვნება 1, 2“, „არავერბალური თეატრი“, „დოკუმენტური თეატრი“, „ახალი ევროპული დრამა“) **სწავლის მეთოდებში აუცილებლად უნდა ჩაიწეროს წერითი მეთოდი.**
- რეკომედირებულია, კურსებში, რომელშიც მოცემულია აუდიო და ვიზუალური მასალებზე დაყრდნობით სწავლება (მაგ.: „**დითირამბიდან როკ-ოპერამდე“**), დემონსტრირების მეთოდები დაკონკრეტდეს, როგორც **აუდიო-ვიზუალური დემონსტრირების მეთოდები.**
- რეკომედებულია, კურსში **„პერფორმანსი და ინსტალაცია / პრაქტიკული კურსი“** გაიწეროს პრაქტიკული სავარჯიშოების **სწავლების მეთოდები;** დაზუსტდეს, რამდენად რელევანტურია მათთან მოცემული შეფასების კრიტერიუმები.

კომპონენტი: ***2.6. სტუდენტების შეფასება***

- რეკომენდებულია, გაიწეროს კურსის **„მასტერკლასი: უილიამ შექსპირი - დადგმა, თამაში, მართვა“** სილაბუსში შუალედური შეფასებების ფორმატი; კერძოდ, გაიწეროს, აფასებს ცალკეულ სავარჯიშოს თითოეული ლექტორი ცალ-ცალკე, თუ ერთიანი კომისიის ფორმატით. ამავე სილაბუსში გაიწეროს დასკვნითი შეფასების (პრეზენტაციები) ფორმატი; დაზუსტდეს, აფასებს მას მხოლოდ ხელმძღვანელი, თუ ერთიანი კომისია.
- რეკომენდებულიაკურსის **„მსახიობის ოსტატობა 1**“ სილაბუსში ჩაიშალოს და დაკონკრეტდეს შუალედურ და საბოლოო შეფასებებში **წერითი დავალების კომპონენტების რაობა** (ფასდება 10 ქულით) **და შეფასების კრიტერიუმები;** ოსტატობა 1” სილაბუსში მოცემულ შუალედურ შეფასება II და დასკვნით შეფასებაში დაკონკრეტდეს წერით ნაწილში რა ტიპის/სირთულის დიალოგი იგულისმება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კომპონენტი: ***1.2 პროგრამის სწავლის შედეგები***

- სასურველია, **კომპეტენციების რუკაში** სრულად გაიწეროს კურსის **„სივრცის დიზაინის“** თეორიული ნაწილის შედეგად **მიღებული კომპეტენციები;**
- სასურველია, **შეფასდეს ნიშნულების უთანაბრობის საკითხი:** მომავალში პროგრამის მონიტორინგის განხორციელების შედეგად **შეფასდეს სამსახიობო ხელოვნების მიმართულებით სამიზნე ნიშნულების და სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზანთან;** საჭიროების

შემთხვევაში გაიზარდოს/განვითარდეს კომპეტენციები და სწავლის მეთოდები შესაბამის სამსახიობო მიმართულების სასწავლო კურსების სილაბუსებში;

კომპონენტი: კომპონენტი: ***2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები***

- სასურველია, სამომავლოდ დაკონკრეტდეს წარმოსადგენი **პორტფოლიოს ფორმატი;**

კომპონენტი: ***2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი***

- სასურველია მომავალში პრაქტიკაში განხორციელებული სადიპლომო სპექტაკლების ხელმძღვანელობის ანალიზის შედეგად **„სადიპლომო სპექტაკლის კონცეფციის“** დოკუმენტში უფრო **მკაფიოდ იქნას გაწერილი პრაქტიკულ-შემოქმედებითი და კვლევით - ანალიტიკური კომპონენტები და მათი განხორციელების მეთოდები.**

კომპონენტი: 2.*3. სასწავლო კურსი*

- სასურველია, კურსების **„მოძრაობა და თეატრი“, „დითირამბიდან როკ-ოპერამდე“, „პერფორმანსი და ინსტალაცია“, „პერფორმანსი და ინსტალაცია / პრაქტიკული კურსი“, „პრაქტიკა თოჯინების თეატრში“, „პრაქტიკა ოპერისა და ბალეტის თეატრი“, „სივრცის დიზაინი“** სილაბუსებში ზოგადი შინაარსი დაკონკრეტდეს, მეტად ჩაიშალოს სალექციო თემები.
- სასურველია, კურსის **"მსახიობის ოსტატობა 1"** სილაბუსში უფრო დაწვრილებით ჩაიშალოს **ლიტერატურული ანალიზის კომპონენტის** (ლიტერატურული და თეატრალური ანალიზი - სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“) **სწავლის ეტაპები;**

კომპონენტი: 2.*4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება*

- სასურველია, მომავალი მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით და პირველი მასტერკლასების ჩატარების გამოცდილების ანალიზის საფუძველზე **მასტერკლასების** ბლოკს **მიენიჭოს კრედიტი**, გაიწეროს ამ ბლოკის სილაბუსი ან კონცეფცია; აისახოს კომპეტენციების რუკაში და სამიზმე ნიშნულებში.

  სასურველია, 3 კრედიტიანი კურსებისათვის **„პრაქტიკა თოჯინების თეატრში“ და „პრაქტიკა ოპერისა და ბალეტის თეატრში“** გადაიხედოს კრედიტების რაოდენობა, რომ მათთვის განკუთვნილი საათები მეტად შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსებში გაწერილ კომპეტენციებთან; სასურველია **დაემატოს კრედიტები, რომ სასწავლო კურსის რეალური შედეგი გავიდეს კომპეტენციების რუკაში გაწერილ შედეგებზე.**

კომპონენტი: 2.6 *სტუდენტის შეფასება*

- სასურველია, კურსისთვის „**პრაქტიკა თეატრში“ შემუშავდეს დღიურის ფორმა.**

კომპონენტი: *5.1. შიდა ხარისხის შეფასება*

- სასურველია უმაღლეს სასწავლებელმა წარმოადგინოს სტანდარტთან შედარების მასალები (ე.წ. ბენჩმარკის ანალიზის შედეგები), საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით;
- სერვისების განვითარებაზე დაკვირვებისა და კვლევის შედეგების შეჯერების მიზნით სასურველია განმერეობით მომზადდეს სტუდენტური სერვისების კვლევა;

- **არგუმენტირებულ პოზიციის გაზიარების შესახებ**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ს მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პასუხს დასკვნაზე. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა უსდ-ს მიერ წარმოდგენილ არგუმენტებზე. წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილებაა, წარმოდგენილ დასკვნაში არ იქნას შეტანილი ცვლილებები.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში) -**

კომპონენტი: *5.1. შიდა ხარისხის შეფასება*

ხარისხის მექანიზმების აქტიური გამოყენება ხარისხის შიდა შეფასების სეგმენტში, აქტიური კვლევების ინსტიტუციური განვითარების ყველა სექტორში, ხარისხის უზრუნველყოფის კვლევების სამსახურის აქტიური ჩართულობა კვლევის პროცესებში, შედეგების ანალიზი და ინსტიტუციური გაზიარების ტრადიცია შემდგომი რეაგირების მიზნით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) -**

-

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიით განსაზღვრულია, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ცოდნის შექმნას, გადაცემას და გამოყენებას მეცნიერების წინსვლის და საზოგადოებრივი განვითარებისთვის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის შესაბამისად უნივერსიტეტი ახორციელებს სამაგისტრო პროგრამას ***ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში,*** რათა მისცეს სტუდენტს შესაძლებლობა მოახდინოს რეჟისურის ან სამსახიობო ხელოვნების სფეროში ცოდნის გაღრმავება, სპეციალიზება, კვალიფიკაციის ამაღლება და გამოუმუშაოს მას სამეცნიერო კვლევის ჩვევები. ახალი სამაგისტრო პროგრამის მიზანია: „შეუქმნას მომავალ რეჟისორებსა და მსახიობებს საშემსრულებლო პრაქტიკასთან ინტეგრირებული გარემო და მოქმედ თეატრში სახელოსნოს პრინციპებზე დაფუძნებული მუშაობით მისცეს მათ საშუალება თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთი მიმართულებით (რეჟისურა ან სამსახიობო ხელოვნება), ახალი ცოდნის შეძენის საფუძველზე, განავითარონ საკუთარი ინდივიდუალური შემოქმედებითი ხედვა და გააღრმავონ სპექტაკლის თანაავტორობით შექმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რათა მზად იყვნენ როგორც დამოუკიდებელი პროფესიული წინსვლისთვის, ისე კონკურენტუნარიანი გარემოს შესაქმნელად თეატრალური ხელოვნების სფეროში.“ (ციტატა) ამდენად, პროგრამის მიზნები შეესაბამება როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, ასევე მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის **2018-2024 წლების სტრატეგიას,** რომელშიც **ერთ-ერთ გამოწვევად პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება** სახელდება. პროგრამა ინოვაციურია, რაც გამოიხატება **სახელოსნოს პრინციპზე** აწყობილ სასწავლო პროცესზე, რომელიც უქმნის სტუდენტს მოქმედ თეატრში მუშაობის გამოცდილებაზე დაფუძნებულ სასწვლო გარემოს. აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესი როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრში, ასევე საქართველოს სხვა თეატრებში ხორციელდება. პროგრამაში შემოტანილია ისეთი სასწავლო კურსები, რომელთა სინთეზური სწავლების გამოცდილება საქართველოში არ არსებობს, თუმცა თანამედროვე თეატრის მოთხოვნებიდან გამომდინარე აუცილებლია; კერძოდ, ისწვალება კურსები, რომელიც ანვითარებს სხეულის ენის, ინსტალაცია -პერფორმანსის, თოჯინური სპექტაკლის შექმნის, ოპერის რეჟისურის და ა.შ. კომპეტენციებს. სამაგისტრო პროგრამის ჩამოყალიბებას გააჩნია ორწლიანი მოსამზადებელი პერიოდი-(2019 წლიდან), რომელიც აღწერილია ოქმებში და დადასტურებულია ექსპერტთა ვიზიტის დროს - ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს . აღსანიშნავია, რომ პროგრამა ითვალისწინებს **სტუდიური პრინციპით** მუშაობის გამოცდილებას, რომლის პრაქტიკა არსებობდა საქართველოში 70-80-იან წლებში თეატრალურ ინსტიტუტში მიხეილ თუმანიშვილის სახელოსნოში. **პროგრამის ინოვაციურობას სწორედ ამ გამოცდილების ინსტიტუციონალიზაცია და სამაგისტრო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენს.** პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია სამუშაო პროცესი, რომელიც გასწია ჯგუფმა საერთაშორისო გამოცდილების შესასწავლად. კერძოდ, „პროგრამა დაფუძნებულია მსოფლიოს ისეთი წამყვანი თეატრალური სკოლების სასწავლო პროგრამების გამოცდილებაზე, როგორიცაა

იეილის დრამატული სკოლა (აშშ), როიალ ჰოლოუეის უნივერსიტეტი, შოტლანდიის სამეფო კონსერვატორია (დიდი ბრიტანეთი) და სხვ.“ და ასევე სტრასბურგის ეროვნულ თეატრთან არსებული თეატრალური სკოლა.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული; სამაგისტრო საფეხურის შესაბამისად რეალისტური და მიღწევადია. პროგრამა მიზნად ისახავს შრომის ბაზრისთვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებით ქართულ თეატრში არსებულ გამოწვევების დაძლევას და სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას. წარმოდეგნილი უმაღლესი საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის ღირსებას წარმოადგენს მცდელობა გააერთიანოს ქართული თეატრალური სკოლის საუკეთესო ტრადიციები (მ. თუმანიშვილის სახელოსნოს პრინციპები) საერთაშორისო გამოცდილებასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პოტენციური დამსაქმებლების კვლევა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევა;
- სხვა უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების შესაბამისი მიმართულების სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების კვლევა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია; http://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების 2018-2024 წლების სტრატეგია;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი www.iliauni.edu.ge;
- ილიაუნის თეატრის ვებ გვერდი www.iliaunitehatre.ge;
- პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტი;
- საერთაშორისო ანალოგების ჩამონათვალი;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევა

-

შეფასება

x **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამისა და მისი თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სწავლის შედეგები გადის შესაბამის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებზე, რომელიც შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. შედეგები მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას, ასევე ავტონომიურობას; ამდენად პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა (მათ შორის შინაარსი და სტრუქტურა) ქმნის საფუძველს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. ეს **დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგების**

რუკით.

დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ:

- სწავლის შედეგები შეესაბამება სფეროს სპეციფიკას (პრაქტიკული და თეორიული მუშაობისთვის მრავალმხრივ მომზადებული რეჟისორები და მსახიობები, რომლებსაც ქმედითი ანალიზის მეთოდით მუშაობის უფრო მყარი თეორიული საფუძვლები გააჩნიათ) და შრომის ბაზრის მოთხოვნებს (განსაკუთრებით თოჯინური თეატრის საჭიროებებს);
- სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური;
- პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრა ეტაპობრივად განხორციელდა და ამ პროცესში ჩართული იყვნენ დაინტერესებული მხარეები - პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები, სხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულების რელევანტური პროგრამების სტუდენტები და დამსაქმებლები.
- პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისას გამოყენებულ იქნა საერთაშორისო ანალოგები.
- სწავლის შედეგები საკმარისია სტუდენტის პიროვნული მიღწევებისა და განვითარებისათვის, სოციალური ჩართულობისა და პროფესიით დასაქმებისათვის, შემოქმედებითი აქტივობისთვის; იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;
- პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას.
- უნივერსიტეტში არსებობს და ფუნქციონირებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი, რომელსაც ეყრდნობა პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და სწავლის შედეგების შეფასება. იგი განხორციელდება ახლი სამაგისტრო პროგრამის „ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში“ ამოქმედდებისთანავე.
- მონიტორინგის ანალიზის შედეგები აქტიურად იქნება გამოყენებული პროგრამის **ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში** გასაუმჯობესებელად.
- მონიტორინგის ანგარიში ყოველწლიურია და მის საფუძველზე ხდება (მე-3 სემესტრისათვის) პროგრამის მოდიფიცირება.
- თვითშეფასების მიხედვით: „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება თანმიმდევრულად პროგრამაში შემავალი კურსების სწავლის შედეგების შეფასებითა და შეფასების შედეგების ანალიზით. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ძირითად ინდიკატორად გამოყენებულია პრაქტიკულ კომპონენტებში განხორციელებული აქტივობებისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტებში წარმოდგენილია ის მტკიცებულებები, რომელთა ანალიზი საშუალებას მოგვცემს შეფასდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის ყველა ის შედეგი, რომელიც ადასტურებს სტუდენტის სწავლების კომპეტენციას, ხოლო სადიპლომო სპექტაკლით სტუდენტი ადასტურებს მის მზაობას მომავალი შემოქმედებითი მუშაობისათვის. სწავლის შედეგების ანალიზი დაგეგმილია პროგრამის განხორციელების ერთი სრული ციკლის შემდეგ (მე-3 წელს).“ (ციტატა)

პროგრამის სწავლის შედეგები განისაზღვრება სამიზნე ნიშნულებით. ნიშნულები თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებში განხორციელებული აქტივობებითა და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასებებით დგინდება.

სამიზნე ნიშნულები

სწავლის შედეგები	**საერთო ბლოკი თეატრალური სახელოსნო**	**მსახიობების ბლოკი**	**რეჟისორების ბლოკი**	**სადიპლომო სპექტაკლი**

		შესაბამისი სემესტრის ბოლოს დასკვნით შეფასებაში მაგისტრანტთა 70 პროცენტს ექნება მაქსიმალური ქულიდან მინიმუმ 70%, ასევე ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ მაგისტრანტთა 70%-ს შესრულებული ექნება შესაბამისი სემესტრით გათვალისწინებული ყველა საჯარო წარმოდგენა	ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ მაგისტრანტთა 70%-ს შესრულებული ექნება შესაბამისი სემესტრით გათვალისწინებული ყველა საჯარო წარმოდგენა და ექნება მაქსიმალური ქულიდან მინიმუმ 70%	ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ მაგისტრანტთა 70%-ს დადგმული ექნება შესაბამისი სემესტრით გათვალისწინებული ყველა საჯარო წარმოდგენა ექნება მაქსიმალური ქულიდან მინიმუმ 70%	მე-4 სემესტრის ბოლოს მაგისტრანტთა არანაკლებ 70%-ისა მიიღებს მინიმუმ მთლიანი შეფასების მინიმუმ 70%-ს
1	აქვს თეატრალური ხელოვნების განვითარების გზების: თეორიებისა და მეთოდების, ფორმებისა და მიმართულებების, კლასიკური და თანამედროვე მიდგომების, ლიტერატურული და ქმედითი ანალიზის ღრმა და სისტემური ცოდნა;				
2	შეუძლია პროფესიულ გარემოში, რეჟისორისა და მსახიობების კოლაბორაციის საშუალებით შექმნას თეატრალური პროდუქტი, რისთვისაც იყენებს ტრადიციულ და თანამედროვე თეატრალურ თეორიებსა და მეთოდებს და ახდენს				

	იდეების ინოვაციურ სინთეზს.				
3	აქვს კრიტიკული აზროვნებისა და ანალიტიკური წერის კომპლექსური უნარები				
4	აფასებს საკუთარ და სხვის შემოქმედებით დაოსტატებას და ადეკვატურად იყენებს შემოქმედებითი ჯგუფის შესაძლებლობებს;				
5	მოქმედ თეატრში სახელოსნოს პრინციპებზე დაფუძნებული მუშაობის შედეგად აქვს შემოქმედებით და სადადგმო კოლექტივთან, კოლეგებთან, დარგის სპეციალისტებთან, მაყურებელთან, სპონსორებთან, მასმედიასთან, თეატრის ადმინისტრაციასთან, ტექნიკურ პერსონალთან და ა.შ. კომუნიკაციის უნარი;				
6	აქვს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უნარი.				
7.	აქვს როლის გააზრების, როლზე დამოუკიდებლად მუშაობის, შექმნისა და საჯარო დემონსტრირების უნარი მსახიობის ოსტატობის ელემენტების გამოყენებით;				

8.	შეუძლია დრამატურგიული ნაწარმოების შერჩევა და ლიტერატურული პირველწყაროს მიხედვით სხვადასხვა სტილისა და ჟანრის თეატრალური წარმოდგენის შემოქმედებითი კონცეფციის პრაქტიკაში სხვადასხვა ფორმით განხორციელება;				
9.	აქვს თეატრალური პროდუქტის შექმნის, პროცესის დაგეგმვისა და მართვის უნარი მის საწყის, ძირითად და პოსტპროდუქციის ეტაპებზე.				

კურიკულუმსა და სილაბუსებში აღწერილი სწავლის შედეგების შესაბამისობა მიზნებთან და დასახული მიზნების შედეგებზე გასვლა განპირობებულია:

ა) მეთოდოლოგიით - პროგრამა ორიენტირებულია **პრაქტიკულ სწავლებაზე, სახელოსნოს პრინციპით;**

ბ) თანამშრომლობით - უნივერსიტეტს გააჩნია მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა თეატრებთან, ფესტივალებთან, სადაც სტუდენტებმა უნდა გაიარონ პრაქტიკა. აღნიშნული თანამშომლობა ასევე ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

კურიკულუმსა და სილაბუსებში გაწერილი პროგრამის სწავლის შედეგები **უმეტესწილად შესაბამისობაშია** პროგრამის მიზნებთან, უვითარებს რა სტუდენტს პროფესიულ კომპეტენციებს შესაბამისი მიმართულების (რეჟისურის ხელოვნება, სამსახიობო ხელოვნება) ფარგლებში და მოიცავს სფეროს ღრმა ცოდნას და მის კრიტიკულ გააზრებას, ქმნის საფუძველს ორიგინალური იდეების განვითარებისათვის. ასევე სწავლის შედეგები განაპირობებს შესაბამისი რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებას და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდების გამოყენების უნარს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

კურიკულუმსა და სილაბუსებში აღწერილი სწავლის შედეგები საჯარო და ხელმისაწვდომია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს, რაც გაწერილია შესაბამის დოკუმენტებში (უნივერსიტეტში არსებული მექანიზმების, წესების და ინსტრუმენტების / კვლევების კითხვარების / დოკუმენტაცია).

ინტერვიუების შედეგად დაზუსტდა, რომ პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას. პროგრამის განმახორციელებლების მხრიდან დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება სილაბუსში აღწერილი შედეგების მიღწევის დადგენა სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონაცემების დამუშავების და ანალიზის გზით. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს. შეფასების შედეგები, რომელიც მუდმივად მონიტორინგს ექვემდებარება, გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ამავდროულად, დოკუმენტაციის გაცნობისას და ინტერვიუების დროს ექსპერტებმა დაადგინეს, რომ თვითშეფასების დოკუმენტში მტკიცებულებად მითითებული სწავლის შედეგების რუკაში არ იყო გაწერილი ზოგიერთი საგნის კომპეტენციები სრულად (მაგ. „სივრცის დიზაინის“ თეორიული ნაწილის შედეგად მიღებული კომპეტენციები); ხოლო წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულებიდან სარეჟისორო ხელოვნების ბლოკის ნიშნულები ერთით აღემატება სამსახიობო ხელოვნების ბლოკის ნიშნულებს, რაც მომავალში მონიტორინგის და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშის საგანი უნდა გახდეს. კერძოდ, **თვისობრივად განსხვავებული მე-7 და მე-8 ნიშნულები ცალ-ცალკე სამსახიობო (მე-7) და სარეჟისორო (მე-8) მიმართულებების შესაბამისად არის გაწერილი, ხოლო მე-9 ნიშნული, „**აქვს თეატრალური პროდუქტის შექმნის, პროცესის დაგეგმვისა და მართვის უნარი მის საწყის, ძირითად და პოსტპროდუქციის ეტაპებზე“ **შეესაბამება მხოლოდ სარეჟისორო მიმართულებას, რაც ლოგიკურია სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე.** ამასთანავე, სასურველია **სამსახიობო ხელოვნების მიმართულების სამაგისტრო საფეხურზე სწავლის შედეგები იმდენადვე უფრო მკაფიოდ და მკვეთრად აღმატებული იყოს წინა** (საბაკალავრო) **საფეხურის შედეგებზე, როგორც სამაგისტრო პროგრამის სარეჟისორო მიმართულების ეს სწავლის შედეგები**. პროგრამის ექსტრაკურიკულარული აქტივობები, რომელიც პროგრამის ექსკლუზიორობის მაიდენტიფიცირებელია, ამის საწინდარი უნდა იყოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სწავლის შედეგების რუკა;
- სამიზნე ნიშნულები;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- სადიპლომო სპექტაკლის კონცეფცია;
- პრაქტიკის კონცეფცია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა “არგუსი” http://argus.ge/ge/;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://iliauni.edu.ge/ge/;
- სტუდენტების და კურსდათავრებულების კითხვარები;
- პოტენციურ დამსაქმებელთა კვლევა;
- სტუდენტების და კურსდათამვრებულების ფოკუს-ჯგუფის ანგარიში;
- საერთაშორისო ანალოგები;
- ინტერვიუები;

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, **კომპეტენციების რუკაში** სრულად გაიწეროს კურსის **„სივრცის დიზაინის“** თეორიული ნაწილის შედეგად **მიღებული კომპეტენციები;**

- სასურველია, **შეფასდეს ნიშნულების უთანაბრობის საკითხი:** მომავალში პროგრამის მონიტორინგის განხორციელების შედეგად **შეფასდეს სამსახიობო ხელოვნების მიმართულებით სამიზნე ნიშნულების და სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის მიზანთან;** საჭიროების შემთხვევაში გაიზარდოს/განვითარდეს კომპეტენციები და სწავლის მეთოდები შესაბამის სამსახიობო მიმართულების სასწავლო კურსების სილაბუსებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში **ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში** და მის თვითშფასებაში აღწერილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, კერძოდ: • „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და სახელოვნებო სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამზე „ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში“ ჩასაბარებლად აპლიკანტს არ ესაჭიროება ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება.“ • „ პროგრამაზე დაიშვება აპლიკანტი უნივერსიტეტის შიდა გამოცდების ჩაბარების საფუძველზე. აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს: • შემოქმედებითი რეზიუმე; • პორტფოლიო, რომელიც მოიცავს შემოქმედებითი საქმიანობის დასაბუთებას (ფოტო-ვიდეო მასალა, შესაბამისი ლინკები და ა.შ.); • სამოტივაციო წერილი. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები მოიცავს: • ინტერვიუს აპლიკანტთან; • შემოქმედებით ტურს; • ჯგუფური გამოცდას რეჟისორებისა და მსახიობებისთვის. “ (ციტატა) ინტერვიუს, შემოქმედებითი ტურის და ჯგუფური გამოცდების სტრუქტურა და შეფასების წესი გაწერილია **პროგრამაზე მიღების დოკუმენტში** (პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა გვ. 2,3) თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ ჩარიცხვის პირობები და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალე და სამართლიანია. მათ შესახებ ინფორმაცია საჯაროა და განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ასევე უნივერსიტეტი ახორციელებს ღია კარის დღეებსა და სხვა PR ღონისძიებებს. მაგალითად, PR-ის სამსახურის მხარდაჭერით, ყველა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამისთვის შექმნილია საინფორმაციო ბუკლეტები მაგისტრანტობის მსურველთათვის. ამგვარი საინფორმაციო ბუკლეტი შეიქმნება ასევე პროგრამისთვის **ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში.** **პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს დაკონკრეტდა მიღების წინაპირობა;** კერძოდ

აღინიშნა, რომ **სამსახიობო მიმართულებით ჩაბარების მსურველ აპლიკანტს,** რომელსაც არ აქვს სამსახიობო მიმართულებით დამთავრებული შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ან რომელიმე სხვა უნივერსიტეტში, და მოდის სხვა სპეციალობიდან, **უნდა ქონდეს სამსახიობო საქმიანობის მინიმუმ 3 წლის სტაჟი თეატრში ანდა კინოში.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამაზე მიღების დოკუმენტი; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდი https://iliauni.edu.ge/ge; • ინტერვიუ;
რეკომენდაციები: - რეკომენდირებულია, **პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში დაემატოს**: „სამსახიობო ოსტატობის მიმართულებით ჩაბარების მსურველთათვის აუცილებელია 3 წლის პრაქტიკა შესაბამის სახელოვნებო სფეროში, კერძოდ, **სამსახიობო გამოცდილება.“**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, სამომავლოდ დაკონკრეტდეს წარმოსადგენი **პორტფოლიოს ფორმატი;**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა ***ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში*** შემუშავებულია აკადემიური პერსონალის, თვითშეფასების ჯგუფისა და ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. პროგრამა ითვალისწინებს დაშვების წინაპირობებს, მათ შორის, ინტერვიუს, შემოქმედებითი ტურის და ჯგუფური გამოცდის მეშვეობით აპლიკანტების შეფასებას, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამა შემუშავებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და პროცედურების დაცვით. თვითშფასებაში ზედმიწევნით არის გაწერილი პროგრამის შემუშავების პროცესი და მისი ეტაპები: პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნა და პირველადი სამუშაო ვერსიის შემუშავება, გარე შეფასებისათვის ქართველი და უცხოელი ექსპერტებისათვის პროგრამის გადაგზავნა, ასევე უკუკავშირის მიღების მიზნით, კურსდამთავრებულებისა და სხვა უნივერსიტეტის შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის და დამსაქმებლებისათვის პროგრამის მიწოდება; მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე პროგრამის რედაქტირება და შემდგომ პროცედურების

დაცვით მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის განხილვა -დამტკიცება და განათლების ხარისხის განვთარების ეროვნულ ცენტრში მისი გარე შეფასების და აკრედიტაციის მიზნით გადაცემა.

პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს; პროგრამაში სასწავლო კურსების გადანაწილება ექვემდებარება შინაარსობრივ თანმიმდევრობას და შედგენილია წინაპირობების (არსებობის შემთხვევაში) დაცვით, რაც იძლევა დასახული კომპეტენციების მიღწევის შესაძლებლობას.

პროგრამა შედგება 4 ტიპის კომპონენტისგან, რომელთაგან 3 კომპონენტს (საერთო ბლოკი, საერთო არჩევითი ბლოკი და სადიპლომო სპექტაკლი/მასტერკლასებით) გადის ორივე მიმართულების სტუდენტი, ხოლო ერთს, სპეციალობის ბლოკს, გადიან სტუდენტები არჩეული მიმართულებით - სარეჟისორო ან სამსახიობო მიმართულებით. სპეციალობის ბლოკებში არის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კურსები.

თეორიული და პრაქტიკული კურსების კრტედიტების გადანაწილება:

სამსახიობო მიმართულებით

- I სემესტრში თეორიული კურსები - 15 კრედიტი, პრაქტიკული კურსები -15კრედიტი;
- II სემესტრში თეორიული კურსები - 15 კრედიტი, პრაქტიკული კურსები-15 კრედიტი;
- III სემესტრში თეორიული კურსები - 9 კრედიტი, პრაქტიკული კურსები - 21 კრედიტი;
- IV სემესტრში სადიპლომო სპექტაკლი - 30 კრედიტი

სარეჟისორო მიმართულებით

- I სემესტრში თეორიული კურსები - 18 კრედიტი, პრაქტიკული კურსები - 12 კრედიტი;
- II სემესტრში თეორიული კურსები - 12 კრედიტი, პრაქტიკული კურსები-18 კრედიტი
- III სემესტრში თეორიული კურსები - 9 კრედიტი, პრაქტიკული კურსები - 21 კრედიტი;
- IV სემესტრში სადიპლომო სპექტაკლი - 30 კრედიტი

კურიკულუმში მოცემული პროგრამის სტრუქტურა შემდეგნაირია:

● საერთო ბლოკი - თეატრალური სახელოსნო: 51 კრედიტი
● რეჟისორების ბლოკი: 27 კრედიტი
● მსახიობების ბლოკი: 27 კრედიტი
● საერთო არჩევითი ბლოკი: 12 კრედიტი
● სადიპლომო სპექტაკლი: 30 კრედიტი
● მასტერკლასები (კრედიტგარეშე)

შესაბამისად, პროგრამა თავისი სტრუქტურით და შინაარსით ორიენტრებულია პრაქტიკულ სწავლებაზე.

პრაქტიკული სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტია ცალ-ცალკე ბლოკები მსახიობებისა და რეჟისორებისათვის, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს არჩეული მიმართულებით სპეციალიზაციაში, ასევე საერთო კურსების ბლოკი, რომელშიც თეატრალური სახელოსნოს პრინციპის შესაბამისად, მსახიობები და რეჟისორები ერთობლივად მუშაობენ თეატრალური პროდუქტის შექმნაზე.

პროგრამით დაგეგმილი პრაქტიკა განსხვავებული პროფილის თეატრებში (თოჯინების თეატრი და ოპერა), ასევე მრავალდარგობრივი მასტერკლასები, რომელიც მორგებული იქნება კონკრეტული ჯგუფის საჭიროებებზე, პროგრამის პრაქტიკული ნაწილის ძლიერი მხარეა. სადიპლომო სპექტაკლზე მუშაობის წინაპირობას წარმოადგენს სამი სემესტრით გათვალისწინებული კურსების წარმატებით დასრულება. შემდგომ სტუდენტს ეძლევა საშუალება ითამაშოს ან დადგას სადიპლომო სპექტაკლი. მისი საჯარო პრეზენტაცია მაყურებლის და სხვადასხვა თეატრებიდან და სახელოვნებო ორგანიზაციებიდან დარგის სპეციალისტების თანდასწრებით წარიმართება. საუკეთესო წარმოდგენები დარჩება ილიაუნის თეატრის რეპერტუარში.

თვითშფასებაში აღნიშნულია, რომ: „პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული კვლევის შედეგებს. მათი ძირითადი რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდა პროგრამის კურიკულუმში ცვლილებების შეტანა. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს ასევე დარგის უახლეს მიღწევების სისტემატიურ გაცნობას. “(ციტატა)

„პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტისთვის პროგრამის აღწერიდან, რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და, ასევე, მითითებულია კურსების სილაბუსებში, რომლებიც განთავსებულია არჩევნის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“. სისტემა “არგუსი” უზრუნველოფს ასევე არჩევითობის შეზღუდვას წინაპირობების

გათვალისწინებით.“ (ციტატა)

პროგრამის თვითშფასებაში გაცხადებული შეფასება, რომ პროგრამის შინაარსი შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს დასახული მიზნების და სწავლის შედეგების მიღწევადობას, მეტწილად დასტურდება მოწოდებული მასალით, სილაბუსებისა და კურიკულუმის ანალიზით და ვიზიტის მსვლელობასის ჩატარებული ინტერვიუებით.

პროგრამა ავითარებს რა სტუდენტების შემოქმედებით და პრაქტიკულ უნარებს, ასევე თეორიულ ცოდნას, ანალიტიკურ აზროვნებას, აძლევს მათ შესაძლელობას კვლევითი ინსტრუმენტების გამოყენებით აწარმოონ სამაგისტრო საგანმანათლებლო საფეხურის შესაბამისი კვლევები და მათ საფუძველზე განავითარონ საკუთარი ინდივიდუალური შემოქმედებითი ხედვა და შექმნან ახალი შემოქმედებითი პროდუქტი.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევაში და დამსაქმებლებთან ინტერვიუში და დარგის ქართველ და უცხოელ ექსპერტთა მხარდაჭერის წერილებში პოზიტიურად შეფასდა სახელოსნოს პრინციპით შემუშავებული პროგრამის სტრუქტურა, მისი ექსკლუზიური ნაწილი „მასტერკლასების“ და „პრაქტიკა თეატრებში“ სახით.

ამის გარდა დოკუმენტების შესწავლისას და ვიზიტის დროს მოწოდებული დოკუმენეტების განმეორებითი ანილიზისას **გამოიკვეთა შეუსაბამობა სემესტრულ გეგმასა და სილაბუსში „სივრცის დიზაინი“ გაწერილი კრედიტების რაოდენობასა და პროგრამაში, ასევე დატვირთვის ამსახველ დოკუმენტაციაში ამავე სასწავლო კურსისთვის მინიჭებულ კრედიტებს შორის.**

გამოითქვა რიგი მოსაზრებები, რომელიც რჩევის სახით შეიძლება მიეცეს პროგრამის განვითარებისათვის; კერძოდ, „სადიპლომო სპექტაკლი“ წარმოდგენს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნით კომპონენტს, საკვალიფიკაციო ნაშრომს, რომელშიც მაგისტრანტმა უნდა წარმოაჩინოს სწავლება-სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები. კურიკულუმს თან ახლავს „სადიპლომო სპექტაკლის“ კონცეფციის დოკუმენტი, რომელიც აღწერს სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების ზოგად წესებს და ეტაპებს, ხოლო საათების განაწილება „ინდივიდუალური სპექტაკლის საჭიროებების შესაბამისად ხორციელდება“. თუმცა მასში არ არის მკაფიოდ ასახული სადიპლომო სპექტაკლისათვის განკუთვნილი 30 კრედიტის /შესაბამისი საათების გადანაწილება პრაქტიკულ-შემოქმედებით და კვლევით-ანალიტიკურ კომპონენტებზე. სასურველია, პროგრამის განვითარებისათვის პირველივე სადიპლომო სპექტაკლების ფარგლებში განხორციელებული სასწავლო და კვლევითი პროცესების მონიტორინგის და საკვალიფიკაციო ნაშრომების შედეგების შეფასების საფუძველზე სადიპლომო ნაშრომზე მუშაობის მეთოდოლოგია დაიხვეწოს, როგორც კვლევითი მიმართულებით, ასევე უფრო მკაფიოდ გაიწეროს სამაგისტრო სპექტაკლის თვისობრივი სხვაობა სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედი სარეჟისორო/სამსახიობო მიმართულების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სადიპლომო ნაშრომებისგან/სპექტაკლისაგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამის სემესტრული გეგმა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- სადიპლომო სპექტაკლის კონცეფცია;
- პრაქტიკის კონცეფცია;
- მემორანდუმები ოპერისა და ბალეტისა და თოჯინების თეატრებთან;
- შეხვედრების ოქმი;
- პროგრამის გარე შეფასების შედეგები;
- სტუდენტების და კურსდათამავრებულების ფოკუს-ჯგუფის ანგარიში;
- საერთაშორისო ანალოგები;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი” https://argus.ge/ge/;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდი https://iliauni.edu.ge/ge/;
- პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები;

- აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელებისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობის წესი;
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი;
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, **პროგრამაში მითითებული კრედიტები მოვიდეს შესაბამისობაში „სემესტრულ სასწავლო გეგმასთან“ და სილაბუსებთან მიმართებაში.** კერძოდ, „სემესტრულ სასწავლო გეგმასა“ და სასწავლო კურსის „სივრცის დიზაინის“ სილაბუსში მითითებულია 6 კრედიტი, ხოლო პროგრამაში ამ კურსს მინიჭებული აქვს 3 კრედიტი. გამოსწორდეს ეს შეუსაბამობა და პროგრამაში კურსების ჩამონათვალში იგივე დასახელების კურსის 3 კრედიტი გადასწორდეს 6 კრედიტზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მომავალში პრაქტიკაში განხორციელებული სადიპლომო სპექტაკლების ხელმძღვანელობის ანალიზის შედეგად **„სადიპლომო სპექტაკლის კონცეფციის“** დოკუმენტში უფრო **მკაფიოდ იქნას გაწერილი პრაქტიკულ-შემოქმედებითი და კვლევით - ანალიტიკური კომპონენტები და მათი განხორციელების მეთოდები.**

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევა

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის **ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში** ძირითადი სასწავლო ბლოკების, ისევე როგორც თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, **მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის - სამაგისტრო - საფეხურს.**

სწავლის შედეგების რუკაში იდენტიფიცირებულია ყველა სასწავლო კურსის სწავლების შედეგები. პროგრამა შედგება 6 და 3 კრედიტიანი სასწავლო კურსებისაგან. კურსის შინაარსის მიხედვით განსაზღვრულია კრედიტების, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების რაოდენობა. მათი თანაფარდობა ლოგიკურია კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება.

სილაბუსებში მითითებული სწავლის მეთოდები მეტწილად შეესაბამება კურსების შინაარსსა და შეფასების კრიტერიუმებს.

სილაბუსებში მითითებულია საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები, მათ შორის, ლიტერატურა, ე.წ. რიდერები, ვიდეოლექციები და ვიდეოჩვენებები. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და რიდერები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და ელექტრონული სისტემა “არგუსის” საშუალებით ან/და შესაბამისი კურსის “Elearning-”-ზე. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკის მიერ ხდება შესყიდვა თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის,

რომელსაც უკვეთავენ ლექტორები, როგორც სავალდებულო რესურს.
უნივერსიტეტში ყოველსემესტრულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა კურსების ეფექტურობის შეფასების მიზნით. გამოკითხვის შედეგად ფასდება კურსის შინაარსი, მოცულობა, სტუდენტთა დატვირთვა და შეფასების სისტემა. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია კურსის ლექტორისა და პროგრამის ხელმძღვანელისთვის კომპონენტის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

სილაბუსების ანალიზის, ინტერვიუებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ სილაბუსში არ არის რანჟირებული დემონსტრირების მეთოდები **აუდიო-ვიზუალურ დემონსტრირების მეთოდად; ამავდროულად, შესაბამისი აუდიო-ვიზუალური მასალა უნდა იყოს მეთოდურად მომზადებული და თან ერთვოდეს სალეციო მასალას/ რიდერს.**

რამდენიმე სილაბუსში არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი სწავლების მეთოდები, მკაფიოდ გაწერილი პრაქტიკული დავალებები/სავარჯიშოები, შესაბამისად ზოგან ბუნდოვანია შეფასების კრიტერიუმები. კერძოდ:

- სილაბუსში **„პერფორმანსი და ინსტალაცია/ პრაქტიკული კურსი“** არასაკმარისად მკაფიოდ არის გაწერილი სწავლის მეთოდები, პრაქტიკული დავალებების თემები და შინაარსი, და სწავლის შედეგები; სავარჯიშოების/დავალებების აღწერაში გაურკვეველია ხელოვნების რომელ დარგში სრულდება იგი (საშემსრულებლო ანდა ვიზუალური ხელოვნება).

- სილაბუსში **„სივრცის დიზაინი“** კურსი მიყავს ორ ლექტორს-თეორეტიკოსს და პრაქტიკოსს. სავარაუდოდ მას ორმაგი - პრაქტიკულ-თორიული ხასიათი გააჩნია (მსგავსად სილაბუსისა „მასტერკლასი: უილიამ შექსპირი - დადგმა, თამაში, მართვა“); მაგრამ კურსის ეს ორმაგი ხასიათი არ არის გაწერილი მკაფიოდ:
  ა) არ არის საკმარისად დაკონკრეტებული პრაქტიკული ნაწილები - განსაკუთრებით პრაქტიკული სავარჯიშოების/დავალებების შინაარსი; მათი შეფასების კრიტერიუმები;
  ბ)არ არის საკმარისად დაკონკრეტებული თეორიული ნაწილის დავალებები და მათი შეფასებები;
  გ) არ არის საკმარისად გაწერილი შესაბამისი სწავლების პრაქტიკული და თეორიული მეთოდები და კურსის სწავლების შედეგები.

- პირველი სემესტრის სილაბუსში**„ სამსახიობო ოსტატობა 1 “** (რომელსაც არ გააჩნია წინაპირობა) **დაუკონკრეტებელია შუალედურ და საბოლოო შეფასებებში წერითი დავალების კომპონენტების ხასიათი.** კერძოდ:
  “მასხიობის ოსტატობა 1” სილაბუსში მოცემულია შუალედური შეფასების პირობები, რომელიც 25 ქულით არის შეფასებული (შუალედური შეფასება II - 25 ქულა). აქედან წერით ნაწილი მოიცავს 10 ქულას („წერითი დავალება, რომელშიც სტუდენტმა ეტიუდის კრიტერიუმების დაცვით უნდა შეთხზას ორ- ან სამკაციანი ამბავი, დიალოგის გამოყენებით და აღწეროს იგი ქმედითი თხრობის (ფიზიკური ქმედებების) მეშვეობით. “(ციტატა)), ხოლო დანარჩენი 15 ქულა პრაქტიკულ ნაწილის შეფასებაა.
  პრაქტიკული ნაწილი სავსებით გასაგებად არის აღწერილი, მაგრამ წერით ნაწილში **აუცილებელია დაკონკრეტდეს რა ტიპის დიალოგი უნდა შეიქმნას:** სტუდენტმა უნდა მოიფიქროს (შეთხზას) დიალოგი (რაც მისგან ცალკეულ დრამატურგიულ უნარებს მოითხოვს, რომლის განვითარებისათვისაც ცალკე კურსია საჭირო), თუ საუბარია მარტივი სტრუქტურის მქონე დიალოგზე, რომელიც მხოლოდ ამბის (ეტიუდის) მოცემული პირობებიდან გამომდინარე მხოლოდ უმარტივეს სიტყვიერ ურთიერთობას მოიცავს.
  იგივე დაკონკრეტება აუცილებელია ამავე სილაბუსის დასკვნით შეფასებაში (დასკვნითი შეფასება „წერითი დავალება, რომელშიც სტუდენტმა უნდა შეთხზას ორკაციანი ან ჯგუფური ეტიუდი, დიალოგის გამოყენებით და აღწეროს იგი ქმედითი თხრობის (ფიზიკური მოქმედებების) მეშვეობით. - 10 ქულა“ (ციტატა) ;_მითუმეტეს, რომ სიტყვის გაცოცხლების აქტიური სწავლება შემდეგ სემესტრში სილაბუსში“**მსახიობის ოსტატობა 2”** არის გათვალისწინებული.

რადგან სამაგისტრო პროგრამა კვლევის კომპონენტის მნიშვნელოვან გაძლიერებას მოიაზრებს, შესაბამისად პრაქტიკული კურსების სილაბუსშიც იგულისხმება კვლევითი ნაწილის გაშლა და

დაზუსტება. შესაბამისად, პროგრამის განვითარების მიზნით სამსახიობო მიმართულების ბლოკის ძირითადი კურსის **"მსახიობის ოსტატობა 1"** მიმართებით შეიძლება გამოითქვას დამატებითი რჩევები, რომელთაც არ ექნება სავალდებულო ხასიათი; მაგრამ სასურველია გათვალისწინებულ იქნას, რათა სტუდენტს გაუადვილდეს **კურსის კვლევითი კომპონენტის „ლიტერატურული ანალიზის" სწავლის ეტაპების გააზრება და გადალახვა.** კურსის „მასახიობის ოსტატობა 1"-ში პრაქტიკული ნაწილის გარდა სტუდენტი აქტიურად შეისწავლის დრამატული ნაწარმოების ლიტერატურული ანალიზის განხორციელების საფუძვლებს (ლიტერატურული და თეატრალური ანალიზი - სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე"), რომელიც სწავლების მეორე კვირიდან შემოდის და საბოლოოდ შუალედურ შეფასებაში დასრულებული ნაშრომის სახით ფასდება (პიესის ლიტერატურული და თეატრალური ანალიზი, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე" წერითი ნაშრომი უნდა შედგებოდეს მინიმუმ 5, მაქსიმუმ 10 გვერდისგან "(ციტატა)). ამიტომ სასურველი იქნება უფრო დაწვრილებით ჩაიშალოს სილაბუსში **"მასახიობის ოსტატობა 1"**-ში **ლიტერატურული ანალიზის სწავლის ეტაპები;** მითუმეტეს, რომ პიესის ანალიზი ხდება სამსახიობო მიმართულების კუთხით. **ეს უდაოდ საინტერესოს ხდის კვლევისა და შემოქმედებითი ძიების ფორმას, რომელსაც მომავალი მაგისტრი მსახიობი განახორციელებს.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; • სილაბუსები; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; • კურსების შეფასების კითხვარი; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი; • არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსი" https://argus.ge/ge/; • ელექტრონული სწავლების პორტალი https://elearning.iliauni.edu.ge; • ინტერვიუები.
რეკომენდაციები: **რეკომენდირებულია, ცვლილებები შევიდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში. კერძოდ:** - სილაბუსში **„პერფორმანსი და ინსტალაცია /პრაქტიკული კურსი"** მკაფიოდ გაიწეროს სწავლის მეთოდები, პრაქტიკული დავალებების თემები და შინაარსი, და სწავლის შედეგები; სავარჯიშოების/დავალებების აღწერა მოხდეს იმ ხელოვნების დარგის მითითებით, რომელშიც ის სრულდება (საშემსრულებლო ანდა ვიზუალური ხელოვნება). - სილაბუსში **„სივრცის დიზაინი"** კურსის ორმაგი პრაქტიკულ-თორიული ხასიათიდან გამომდინარე: ა) მკაფიოდ გაიწეროს პრაქტიკული ნაწილები - თემები და განსაკუთრებით პრაქტიკული სავარჯიშოები/დავალებები (შინაარსი); მათი შეფასების კრიტერიუმები; ბ)მკაფიოდ გაიწეროს თეორიული ნაწილის დავალებები და მათი შეფასებები; გ) მკაფიოდ გაიწეროს შესაბამისი სწავლების პრაქტიკული და თეორიული მეთოდები და კურსის სწავლების შედეგები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - სასურველია, კურსების **„მოძრაობა და თეატრი", „დითირამბიდან როკ-ოპერამდე", „პერფორმანსი და ინსტალაცია", „პერფორმანსი და ინსტალაცია / პრაქტიკული კურსი", „პრაქტიკა თოჯინების თეატრში", „პრაქტიკა ოპერისა და ბალეტის თეატრი", „სივრცის დიზაინი"** სილაბუსებში ზოგადი შინაარსი დაკონკრეტდეს, მეტად ჩაიშალოს სალექციო თემები. - სასურველია, კურსის **"მსახიობის ოსტატობა 1"** სილაბუსში უფრო დაწვრილებით ჩაიშალოს **ლიტერატურული ანალიზის კომპონენტის** (ლიტერატურული და თეატრალური ანალიზი - სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე") **სწავლის ეტაპები;**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა, **ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში** თავისი სტრუქტურით და შინაარსით ორიენტრებულია რა პრაქტიკულ სწავლებაზე, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, ტრანსფერული, შემოქმედებითი და საშემსულებლო უნარების გამომუშავებას ხოლო პროგრამის კურსებში არსებული კვლევითი კომპონენტები, უზრუნველყოფს სტუდენტების სპეციფიური უნარების გამომუშავებას კვლევაზე დაფუძნებული შემოქედებით პროექტების განსახორციელებლად. შესაბამისად, მიღებული უნარები უზრყნველყოფს სწავლის პროცესშივე სტუდენტების შემოქმედებით პროექტებში ჩართვას;

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად: „პრაქტიკის კომპონენტი პროგრამაში წარმოდგენილია სახელოსნოს პრინციპზე დაფუძნებული პრაქტიკული ბლოკით და ჩაშენებული პრაქტიკული კურსების ფორმატით, რომელიც შეთავაზებულია სარეჟისორო და სამსახიობო მიმართულების ბლოკებში.“ (ციტატა)

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანია სხვადასხვა პრაქტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი უნარების სინთეზი, რომელთა ერთობლიობა ემსახურება საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის-სპექტაკლის შექმნას მე -4 სემესტრში.

პროგრამის პრაქტიკის კომპონენტი მოიცავს:

- ✓ პრაქტიკულ კურსებს, რომელსაც სტუდენტები გადიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, კერძოდ, ილიაუნის თეატრის ბაზაზე; აქ სტუდენტები ანვითარებენ პრაქტიკულ კომპეტენციებს, რომელიც აუცილებელია დრამატულ თეატრში სამუშაოდ;
- ✓ პრაქტიკულ კურსებს სხვა თეატრებში (ოპერა და თოჯინების თეატრი), რომელიც განუვითარებს სტუდენტებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს საოპერო და თოჯინურ - სპეციფიკურ თეატრალურ ფორმებში;
- ✓ მასტერკლასებს (პროგრამის სავალდებულო კომპონენტია, თუმცა მათი გავლისათვის სტუდენტს არ ენიჭება კრედიტი და არ ფასდება). მათ ჩასატარებლად დაგეგმილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა სპეციალისტების მოწვევა ისეთი მიმართულებებიდან, როგორიცაა მხატვრული განათება, გრიმი, თეატრის მენეჯმენტი, ვიდეო ინსტალაცია (პროექცია) თეატრში, პიესის სასცენო ვერსიაზე მუშაობა, რეკვიზიტი სპექტაკლში, სადადგმო ნაწილის მუშაობა, სპექტაკლის გაშუქება და მაყურებლის მოზიდვა თეატრში, თეატრალური ფესტივალები და ა.შ. მასტერკლასებში მონაწილეობა წარმოადგენს სადიპლომო სპექტაკლის განხორციელების აუცილებელ წინაპირობას. მათზე დასწრების მონიტორინგს აწარმოებს პროგრამის ხელმძღვანელი; ხოლო მასტერკლასების დასასრულს სტუდენტს ევალება პრეზენტაციის წარმოდგენა, რომელშიც კრიტიკულად გააანალიზებს ამ პროცესში შეძენილ გამოცდილებას.

„სადიპლომო სპექტაკლის კონცეფიის“ დოკუმენტის თანახმად სამაგისტრო პროგრამის “ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში” სწავლის შედეგებისა და სამაგისტრო საფეხურის შესაბამისი პრაქტიკული უნარების გამომუშავება თავს იყრის სადიპლომო სპექტაკლში. მასში

სინთეზურად ვითარდება **პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარები, რომელიც წინამორბედი კურსების** (დრამის რეჟისურა, მსახიობის ოსტატობა, არტ-უნარები, თეატრალური პროექტი და მისი მართვა, სივრცის დიზაინი, პრაქტიკა თოჯინების თეატრში, პრაქტიკა ოპერისა და ბალეტის თეატრში, სიმღერის ხელოვნება, სასცენო მეტყველება) **გავლის შედეგად იქნა გამომუშავებული.** „პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კურსები თანაბრადაა გადანაწილებული სემესტრების განმავლობაში და შეთავაზებული როგორც ცალ-ცალკე ბლოკებში მსახიობებისა და რეჟისრებისთვის, ისე საერთო ბლოკში - თეატრალური სახელოსნო. “ (ციტატა). პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას; ამ მიმართულებით აღსანიშნავია უნივერსტეტის მიერ გაფორმებული მემორანდუმები დამსაქმებლებთან (ოპერისა და ბალეტის თეატრი, თოჯინების თეატრი) და ამ თეატრების მზაობა აქტიურად ითანამშრომლონ პრაქტიკის მიზნის მისაღწევად შესაბამისი ხანგრძლივობის პერიოდში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყველა პრაქტიკული სილაბუსი ითვალისწინებს კურსის განმავლობაში შექმნილი თეატრალური პროდუქტის საჯარო პრეზენტაციას, რაც სტუდენტებს თეატრალური წარმოდგენის თამაშისა და დადგმის გამოცდილებას ანიჭებს. ამასთან პროგრამის განვითარების მიზნით მასტერკლასების მიმართებით შეიძლება გამოითქვას რჩევები, რომელთაც არ ექნება სავალდებულო ხასიათი. სასწავლო კურსის „პრაქტიკა თოჯინების თეატრში“ სილაბუსის სწავლის შედეგებში აღწერილია, რომ პრაქტიკის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია/იცის: „თოჯინის მასალის მოპოვება; თოჯინის მექანიზმის შექმნა; თოჯინისთვის კოსტუმის შექმნა; სხვადასხვა სტილის, ფორმის, სპეციფიკის თოჯინის ტარება, მართვა თეჯირს მიღმა და თეჯირის გარეშე; თოჯინის გახმოვანება; ლიტერატურული მასალის თოჯინურ სპექტაკლისთვის დამუშავება; თოჯინური სპექტაკლის შექმნა “. სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი 3 კრედიტში ნაკლებად შესაძლებელია ამ პრაქტიკული უნარ-ჩვეებების სრულფასოვნად გამომუშავება; თუ სტუდენტს სასწავლო პრაქტიკის დაწყებამდე უკვე არ გააჩნია აღნიშნული უნარების გარკვეული დონე, 3 კრედით განკუთვნილ მოკლე დროში ამ უნარების სრულფასოვნად გამომუშავება გაუჭირდება. იგივე შეიძლება ითქვას სასწავლო კურსზე: ,,პრაქტიკა ოპერისა და ბალეტის თეატრში“, რომელიც ასევე 3 კრედიტიანია. 3 კრედიტში პრაქტიკული კომპონენტის ათვისება და შედეგებზე გასვლა შესაძლებელია, თუ მას უკვე შესწავლილი აქვს თოჯინური, საოპერო ხელოვნება და ა.შ. თუ სტუდენტი წინასწარ შესაბამის უნარ-ჩვევებს და ცოდნას არ ფლობს, პრაქტიკის ფარგლებში შედეგზე გასვლის თვალსაზრისით, მას შეუძლია გარკვეული, მინიმალური პრაქტიკული უნარ-ჩვეებები გამოიმუშავოს; **3 კრედიტის მოცულობის პრაქტიკული კურსის ფარგლებში მას შეუძლია მხოლოდ დააკვირდეს, თანამონაწილეობდეს, გაანალიზოს და გაცნობიეროს დარგის პრაქტიკული სპეციფიკა.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანამანათლებლო პროგრამა; • პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; • პრაქტიკის კონცეფცია; • სადიპლომო სპექტაკლის კონცეფცია; • პარტნიორ პრაქტიკის ორგანიზაციასა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები • ინტერვიუები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - სასურველია, მომავალი მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით და პირველი მასტერკლასების ჩატარების გამოცდილების ანალიზის საფუძველზე **მასტერკლასების** ბლოკს **მიენიჭოს კრედიტი**, გაიწეროს ამ ბლოკის სილაბუსი ან კონცეფცია; აისახოს კომპეტენციების რუკაში და სამიზმე ნიშნულებში. - სასურველია, 3 კრედიტიანი კურსებისათვის **„პრაქტიკა თოჯინების თეატრში“ და ,,პრაქტიკა ოპერისა და ბალეტის თეატრში“** გადაიხედოს კრედიტების რაოდენობა, რომ მათთვის განკუთვნილი საათები მეტად შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსებში გაწერილ

კომპეტენციებთან; სასურველია **დაემატოს კრედიტები, რომ სასწავლო კურსის რეალური შედეგი გავიდეს კომპეტენციების რუკაში გაწერილ შედეგებზე.**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **პროგრამის ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში** თვითშფასების მიხედვით „ პროგრამის სწავლება ხორციელდება ლექციების, სემინარების, პრაქტიკული მუშაობის და აგრეთვე, რეპეტიციების ფორმატში, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით. სწავლების მეთოდები კომპლიმენტარულია, შეესაბამება სამაგისტრო საფეხურს, კურსის შინაარსს და ემსახურება კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ, პროგრამაში შემავალ კურსებში გამოყენებულია: ●ლექცია და სემინარი; ● ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა; ● პრაქტიკული სამუშაო - მათ შორის პრაქტიკა ოპერისა და ბალეტის და თოჯინების თეატრებში და მასტერკლასები; ● თვით-რეფლექსია; ● პროექტები; ● დემონსტრირების მეთოდი; ● კეთებით სწავლება; ● დისკუსია; ● სიტუაციის მოდელირება ● როლური თამაშები; ● შემთხვევის ანალიზი. “ (ციტატა) „პროგრამაში შემავალი პრაქტიკული კურსების სწავლების ფორმა ეყრდნობა სახელოსნოს პრინციპებზე დაფუძნებულ მუშაობის მეთოდს, სადაც რეჟისორები და მსახიობები ერთად სწავლებით, ურთიერთთანამშრომლობითა და თანაავტორობით ქმნიან თეატრალურ პროდუქტს. “ (ციტატა) პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გადიან კლასიკურ და თანამედროვე მეთოდებზე დაფუძნებულ პრაქტიკულ და თეორიულ კურსებს. აღსანიშნავია, რომ მკაფიოდ პრაქტიკაზე ორიენტირებული პროგრამის კუსრების უმეტესობა შეიცავს კვლევით ელემენტს. სპეციფიურ კვლევაზე (პიესის ლიტერატურული ანალიზი, პიესის ან როლის თეატრალური/ქმედითი ანალიზი, სარეჟისორო ექსპლიკაცია) დაყრდნობით სტუდენტები დაეუფლებიან სხვადასხვა ტიპის თეატრალური პროდუქციის შექმნას. პროგრამას ექსკლუზიურობას ანიჭებს კურსები, რომელთა სწავლება არ ხდება სხვა საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლეს სასწავლო პროგრამებზე: ინსტალაცია და პერფორმანსი; სივრცის დიზაინი; სხეული, როგორც სიტყვა და დოკუმენტური თეატრი. მათი სწავლება მყარ საფუძველს უქმნის კურსდამთავრებულებს გახდნენ კონკურენტუნარიანი შემოქმედნი, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. თვითშფასების მიხედვით შესაძლოა ჯგუფში განსხვავებული მოთხოვნების და აკადემიური მომზადების სტუდენტების არსებობა. ამდენად „საგანამანათლებლო პროცესში მათი

შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება.“ (ციტატა) „ამავე მიზნებისთვის გათვალისწინებულია აგრეთვე ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც წინასწარ თანხმდება სტუდენტებთან საოფისე საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე “არგუსის” ან კორპორატიული მეილის საშუალებით. ამგვარი ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრების ეფექტურობის შეფასება გათვალისწინებულია როგორც უნივერსიტეტში სტუდენტთა სერვისების შეფასების ფარგლებში, აგრეთვე თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში.“ (ციტატა)

პროგრამის ექსლუზიური ნაწილის-სახელოსნოს პრინციპით პრაქტიკულ სწავლებას სწავლების მეთოდების მკაფიო განსაზღვრა გაამყარებს; სილაბუსების ანალიზმა ცხადყო, რომ სასწავლო კურსების სწავლების მეთოდების უმეტესობა შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, და უზრუნველყოფს მათ მიღწევას;

აღსანიშნავია, რომ კურსების უმეტესობაში (მათ შორის პრაქტიკულ კურსებში) კვლევითი ნაწილის გასაძლიერებლად შუალედური დავალებებსა და საბოლოო გამოცდებში არის წერითი ნაშრომის კომპონენტი შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით (რაც ლოგიკურია სამაგისტრო საფეხურისთვის). ამასთანავე თვითშფასების დოკუმენტში, ისევე როგორც ზოგიერთ სილაბუსში, სწავლების მეთოდების ჩამონათვალში არ არის ნახსენები **წერითი მეთოდი.** კერძოდ, კურსებს: „მოძრაობა და თეატრი“, „ მსახიობის ოსტატობა 1, 2“; „დრამის რეჟისურა 1, 2“ , „პრაქტიკა ოპერისა და ბალეტის თატრში“, „სანამ რეპეტიცია დაიწყება“, „სიმღერის ხელოვნება 1, 2“, „არავერბალური თეატრი“, „დოკუმენტური თეატრი“, „ახალი ევროპული დრამა“ აკლია **წერითი მეთოდი;** ხოლო ამავე სილაბუსებში შეფასებებაში არის სხვადასხვა სახის წერითი ნაშრომი - ესსე, რეფერატი, რეჟისორული ექსპლიკაცია, კონცეფცია, წერითი პასუხები ტესტებზე და ა. შ. ასევე, ზოგიერთ კურსში (მაგ.: „**დითირამბიდან როკ-ოპერამდე“)**, რომელშიც მოცემულია აუდიო და ვიზუალური მასალებზე დაყრდნობით სწავლება, დემონსტრირების მეთოდები არ არის რანჟირებული **აუდიო-ვიზუალურ მეთოდად.** კურსში **„პერფორმანსი და ინსტალაცია / პრაქტიკული კურსი“** არ არის მკაფიოდ გაწერილი **რომელი ხელოვნების (საშემსრულებლო ხელოვნება, ვიზუალური ხელოვენება) მეთოდებით ხორციელდება სწავლება.** „პრაქტიკის კონცეფციის “ დოკუმენტზე დაყრდნობით და კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე მოსალოდნელია, რომ პროგრამაში მრავალჯერ ექსკლუზიურ კურსად აღნიშნული ეს კურსი მოიცავს პერფორმანსის და ინსტალაციის **თამაშის / დადგმის სწავლებას.** ეს მიდგომა დადასტურდა ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროსაც.

სილაბუსში კი მეტად ჩანს აქცენტი ვიზუალურ ხელოვნებაზე, რაც ლოგიკურია კურსის წამყვანი პედაგოგის კვალიფიკაციიდანაც (მხატვარი).

შესაბამისად, აუცილებელია დაზუსტდეს **რა მეთოდებით ხორციელდება ამ კურსის პრაქტიკული სავარჯიშოების სწავლება;** და რამდენად რელევანტურია მათთან მოცემული შეფასების კრიტერიუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- პრაქტიკის კონცეფცია;
- სადიპლომო სპექტაკლის კონცეფცია;
- სასწავლო კურსების შეფასების მექანიზმი;
- არჩევანის უზრუნველყოფის სისტემა „არგუსი“;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები.
- ინტერვუები

რეკომენდაციები:

- რეკომედირებულია, ზოგიერთ პრაქტიკულ კურსებში, ასევე ზოგიერთ თეორიულ კურსში, სადაც არის შეფასებული წერითი ნაშრომი, როგორც საშინაო დავალება, შუალედური ანდა საბოლო გამოცდა, **შესაბამისობაში მოყვანილ იქნას სწავლების მეთოდები შეფასებასთან; კურსების** („მოძრაობა და თეატრი “ „მსახიობის ოსტატობა 1, 2“; „დრამის რეჟისურა 1, 2“ „პრაქტიკა ოპერისა და ბალეტის თატრში“, „სანამ რეპეტიცია დაიწყება“, „სიმღერის ხელოვნება 1, 2“, „არავერბალური თეატრი“, „დოკუმენტური თეატრი“, „ახალი ევროპული დრამა“) **სწავლის მეთოდებში აუცილებლად უნდა ჩაიწეროს წერითი მეთოდი.**

- რეკომედებულია, კურსებში, რომელშიც მოცემულია აუდიო და ვიზუალური მასალებზე დაყრდნობით სწავლება (მაგ.: „**დითირამბიდან როკ-ოპერამდე**“), დემონსტრირების მეთოდები დაკონკრეტდეს, როგორც **აუდიო-ვიზუალური დემონსტრირების მეთოდები.**
- რეკომედირებულია, კურსში **„პერფორმანსი და ინსტალაცია / პრაქტიკული კურსი“** გაიწეროს პრაქტიკული სავარჯიშოების **სწავლების მეთოდები;** დაზუსტდეს, რამდენად რელევანტურია მათთან მოცემული შეფასების კრიტერიუმები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის პროგრამის - **ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში** განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარი დებულების თანხმად ადგენს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს.

ის განსაზღვრავს შეფასების პროცედურებს, რომელიც სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ; შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

პროგრამის შემადგენელ სასწავლო კურსებს, თავისი მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისად, გააჩნია მრავალკომპონენტიანი შეფასება, **რომელიც მეტწილად გაწერილია ყველა სილაბუსში.**

მრავალკომპონენტიანი შეფასება, თავის მხრივ კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით მიიღწევა; ამით უზრუნველყოფილია თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების ადექვატური შეფასება, რომელიც ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობას, სანდოობას, ვალიდობას, გამჭვირვალობას.

პროგრამაზე **ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში** შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილებულია და განისაზღვრება ამგვარად:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

(FX) ვერ ჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

„სასწავლო კურსი მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება (შუალედური შეფასებები და ერთი

დასკვნითი შეფასება). შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციების ზღვარი. დასკვნითი შეფასებისთვის ეს ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს. დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი არ აღემატება 30 ქულას. დასკვნითი შეფასება კურსის სავალდებულო კომპონენტია. " (ციტატა)

უმეტესწილად სილაბუსებში მოცემულია კურსების ფორმატის, სწავლების მეთოდისა და **სწავლის შედეგის შეფასების შესაბამისი მეთოდები** . ცალკეული კურსის სპეციფიკის შესაბამისად შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები.

სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდების, კომპონენტებისა და კრიტერიუმების შესახებ სტუდენტებისთვის არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსის" საშუალებით, რაც უზრუნველყოფს სისტემის გამჭვირვალობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.

„უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს საპრეტენზიო კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების ინიცირების მიზნით. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, სტუდენტები იღებენ უკუკავშირს აკადემიური/ მოწვეული პერსონალისაგან თავიანთი მიღწევებისა და მათი გაუმჯობესების შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ერთი მხრივ ელექტრონული სისტემა „არგუსი", რომელიც საშუალებას იძლევა მუდმივ რეჟიმში დამყარდეს კომუნიკაცია სტუდენტსა და ლექტორს შორის, ხოლო მეორე მხრივ ინდივიდუალური საკონსულტაციო საათები, რომელთა დროც ყოველი სემესტრის დასაწყისში თანხმდება სტუდენტებთან." (ციტატა)

შუალედური შეფასებების შემდგომ სტუდენტს ეძლევა საშუალება ლექტორისაგან მიიღოს საკუთარი ნაშრომისა და ქულის შესახებ უკუკავშირი. უნივერსიტეტსი არსებობს სასწავლო კურსების სისტემური შეფასების მონიტორინგი - სტუდენტების გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე 23 ფაკულტეტის ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება კურსის შეფასების სისტემის ცვლილებისთვის მისი გაუმჯობესების მიზნით.

სადიპლომო სპექტაკლის შეფასების პროცესი მკაფიოდ არის გაწერილი „სადიპლომო სპექტაკლის კონცეფციაში". ამ დოკუმენტის მიხედვით სადიპლომო სპექტაკლს აფასებენ ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი და საჯარო პრეზენტაციის შეფასებისთვის მოწვეული კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია დარგის მოქმედი სპეციალისტებისგან.

მნიშვნელოვანია, რომ ყველა საჯარო პრეზენტაცია (სადიპლომო სპექტაკლი და პრაქტიკული კურსების საბოლოო გამოცდები) გადაღებული იქნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიაცენტრის მიერ, რათა შეფასების გაპროტესტების შემთხვევაში სააპელაციო კომისიამ შეძლოს ნაშრომის შეფასება.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს შეფასების თანამედროვე მეთოდებს. პროგრამაში ჩართული პერსონალი იღებს კონსულტაციებსა და მხარდაჭერას კურიკულუმის ექსპერტებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის უფროსისგან. თვითშფასების მიხედვით: „უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალისთვის სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების შეთავაზებას." (ციატატა)

„სადიპლომო სპექტაკლის კონცეფციაში" კარგად არის გაწერილი სადიპლომო ნაშრომის სხვადასხვა კომპონენტის შეფასების ფორმები: თოთოეული შეფასების კომპონენტისათვის ცალ -ცალკე; მაგალითად:

- ხელმძღვანელი რეჟისორის მიერ სამუშაო პროცესისა და პიესის სარეჟისორო ექსპლიკაციის შეფასების ფორმა;
- ხელმძღვანელი რეჟისორის მიერ სამუშაო პროცესისა და პიესის ლიტერატურული და როლის ქმედითი ანალიზის შეფასების ფორმა;
- ხელმძღვანელი რეჟისორის მიერ როლზე მუშაობის პროცესის შეფასების ფორმა;
- ხელმძღვანელი რეჟისორის მიერ სპექტაკლის დადგმის პროცესის შეფასების ფორმა;
- სადიპლომო სპექტაკლის საჯარო შესრულების შეფასების ფორმა;
- რეცენზენტის მიერ პიესის ლიტერატურული და როლის ქმედითი ანალიზის შეფასების ფორმა;
- რეცენზენტის მიერ პიესის სარეჟისორო ექსპლიკაციის შეფასების ფორმა;

და ასე შემდეგ. ასევე მკაფიოდ არის გაწერილი „პროგრამაზე მიღების დოკუმენტში“ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის სამივე კომპონენტის შეფასების სისტემა თავისი კრიტერიუმებით: ინტერვიუ, შემოქმედებითი ტური და ჯგუფური გამოცდა. **ამასთანავე, ვიზიტის დროს, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ასევე პროგრამის ხელმძღვანელთან დაისვა კითხვა უკრედიტო მასტერკლასების შეფასების კრიტერიუმებზე.** დოკუმენტ „პრაქტიკის კონცეფციის“ მიხედვით: „მასტერკლასი არ ითვალისწინებს კრედიტების მინიჭებას და სტუდენტების შეფასებისთვის არ გამოიყენება ქულები. მასტერკლასი წარმოადგენს სადიპლომო სპექტაკლის განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობას. მასტერკლასებზე დასწრების მონიტორინგს აწარმოებს პროგრამის ხელმძღვანელი. (დანართი#1) მასტერკლასების სერიის ბოლოს სტუდენტმა უნდა წამოადგინოს პრეზენტაცია, რომელიც კრიტიკულად შეაფასებს საკუთარ შესაძლებლობებს მასტერკლასში მიღებული ცოდნის ჭრილში. (დანართი #2)“ (ციტატა). ამასთან აღსანიშნავია, რომ „პრაქტიკის კონცეფციაში“ არ არის გაწერილი, თუ როგორ იწარმოება თეატრში **პრაქტიკის დღიურები - არ არის ფორმა** რომელშიც ის უნდა იყოს გაწერილი. **ასევე გამოიკვეთა, რომ შეფასების ფორმატი ბოლომდე გაწერილი არ არის 3- კრედიტიანი კურსის „მასტერკლასი: უილიამ შექსპირი - დადგმა, თამაში, მართვა“ სილაბუსშიც.** ამ კურსის შუალედური და დასკვნითი შეფასებები მოითხოვს დაზუსტებას. შუალედური შეფასება შედგება 2 პრაქტიკული სავარჯიშოსა და 1 საშინაო დავალებისგან, კურსში ჩართულია 6 ლექტორი - პროგრამის ხელმძღვანელი, 1 პროფესორი და 4 მოწვეული ლექტორი, რომელთაგან მხოლოდ ორის საკონტაქტო საათების პერიოდს ემთხვევა შუალედური შეფასებები. **შესაბამისად გაურკვეველია, სამი ლექტორის მიერ შუალედურ შეფასებებში მონაწილეობის საკითხი; ასევე მათ მიერ ჩატარებული სალექციო თემების ჩართვა-არჩართვა შუალედურ თუ საბოლო გამოცდაში.** შეფასების კრიტერიუმებისაგან განხვავებით **შემფასებელთა ფორმატი არ არის გაწერილი** სილაბუსში. ამდენად ზუსტად არის საჭირო განსაზღვრა ამ კურსის შუალედური და საბოლოო გამოცდის შემფასებელთა რაოდენობა და ვინაობა: რომელი შეფასებები ხორციელდება ხელმძღვანელის და იმ ლექტორების მიერ, რომელთა სალექციო კურსს ემთხვევა შუალედური შემოწმება; ან ყველა პედაგოგის ერთობლივი კომისია აფასებს ყველა შუალედურ და საბოლოო გამოცდას. ამავე სილაბუსში გასაწერია, როგორ დგინდება აქტიურობა -20 ქულა (ხელმძღვანელის მიერ, თუ ყველა ლექტორის შეფასების საშუალო არითმეტიკულით). შეფასების გამჭირვალობა მეტად იქნებოდა უზრუნველყოფილი კურსის ყველა შუალედური და საბოლოო გამოცდის საკომისიო ფორმატით შეფასების შემთხვევაში. ასევე გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანია კურსში **“მასხიობის ოსტატობა 1” სილაბუსში მკაფიოდ იყოს განსაზღვრული შუალედური და დასკვნით შეფასებებში წერითი კომპონენტის რაობა და შეფასების კრიტერიუმები.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საგანმანათლებლო პროგრამა; ● პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; ● სადიპლომო სპექტაკლის კონცეფცია; ● არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა: „არგუსი“ https://argus.ge/ge/; ● ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი; ● საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი; ● სისტემები https://elearning.iliauni.edu.ge და https://turnitin.com ● პროგრამის შეფასების კრიტერიუმები; ● აკადემიური პერსონალის და მასწავლებლების განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა; ● ინტერვიუები.
რეკომენდაციები: - რეკომენდირებულია, გაიწეროს კურსის **„მასტერკლასი: უილიამ შექსპირი - დადგმა, თამაში, მართვა“** სილაბუსში შუალედური შეფასებების ფორმატი; კერძოდ, გაიწეროს, აფასებს ცალკეულ სავარჯიშოს თითოეული ლექტორი ცალ-ცალკე, თუ ერთიანი კომისიის ფორმატით. ამავე სილაბუსში გაიწეროს დასკვნითი შეფასების (პრეზენტაციები) ფორმატი; დაზუსტდეს, აფასებს მას მხოლოდ ხელმძღვანელი, თუ ერთიანი კომისია. - რეკომენდირებულიაკურსის **„ მსახიობის ოსტატობა 1**“ სილაბუსში ჩაიშალოს და დაკონკრეტდეს შუალედურ და საბოლოო შეფასებებში **წერითი დავალების კომპონენტების**

რაობა (ფასდება 10 ქულით) **და შეფასების კრიტერიუმები;** ოსტატობა 1" სილაბუსში მოცემულ შუალედურ შეფასება II და დასკვნით შეფასებაში **დაკონკრეტდეს წერით ნაწილში რა ტიპის/სირთულის დიალოგი იგულისმება.**
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის - სასურველია, კურსისთვის „**პრაქტიკის თეატრში" შემუშავდეს დღიურის ფორმა.**
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას. სტუდენტებთან სწავლის დაწყებისას ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც ისინი იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესზე, სტუდენტურ სერვისებზე თუ სხვა მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. სტუდენტთა მხარდაჭერა და კონსულტირება გრძელდება უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ინდივიდუალური კონსულტაციებით სასწავლო კურსების განმახორციელებელ პერსონალთან. პროფესორ-მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის ძირითადად გამოიყენება ელექტრონული სისტემა „არგუსი", სადაც ასევე განთავსებულია შესაბამისი სასწავლო რესურსი და სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებები. სემესტრის დაწყებამდე ცხადდება საკონსულტაციო საათები და სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს კონსულტაცია პროგრამასთან და მის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ

საკითხებზე მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორისგან/სპეციალისტისგან. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, რომელიც ზრუნავს სტუდენტთა დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაზე. სტუდენტებს, ასევე კურსდამთავრებულებს სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობების, ვაკანსიებისა და სტაჟირებების შესახებ. ვინაიდან პროგრამა ახალია, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სხვა, მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. ინტერვიუებმა დაადასტურა სტუდენტთა ინფორმირებისა და კონსულტირების მექანიზმების ეფექტურობა. ინტერვიუზე წარმოდგენილი კურსდამთავრებულები იყვნენ დასაქმებული პროფილით, მათ დასაქმებაში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი უნივერსიტეტმა და პროგრამის განმახორციელებლმა პერსონალმა. სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას, თეატრალურ სტუდიებთან თანამშრომლობას, პიესების კითხვასა და განხილვას, ფესტივალებში მონაწილეობას, სახელოვნებო სახელოსნოებთან თანამშრომლობას. შექმნილი წარმოდგენები ჩართული იქნება ილიაუნის თეატრის რეპერტუარში და მასში მონაწილე სტუდენტები მიიღებენ შესაბამის შრომის ანაზღაურებას. პროგრამის სტუდენტები ასევე მონაწილეობას მიიღებენ აუდიო სახელმძღვანელოების შექმნაში. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები ასევე გაივლიან მასტერკლასებს თბილისის და რეგიონის თეატრებში. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან გაცვლითი პროგრამებისა და სხვა საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ. სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებისთვის უმეტესწილად გამოიყენება ელ-ფოსტა. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის ღონისძიებების დასაგეგმად მიმდინარეობს მოლაპარაკებები საერთაშორისო საუნივერსიტეტო თეატრების ქსელთან და ლიმოჟის თეატრალურ სკოლასთან. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუ სტუდენტებთან; • ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან; • პროგრამის ექსტრაკურიკულური აქტივობების ჩამონათვალი; • პრაქტიკის კონცეფცია; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სადიპლომო სპექტაკლის ხელმძღვანელი რეჟისორის უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესის აღწერის დოკუმენტი - სადიპლომო სპექტაკლის კონცეფცია. სადიპლომო სპექტაკლის კონცეფციაში აღწერილია სამაგისტრო სადიპლომო სპექტაკლზე მუშაობის პროცესი, სტუდენტებისა და ხელმძღვანელის ვალდებულებები, რეცენზირების, სადიპლომო სპექტაკლის შესრულებისა და სადიპლომო სპეკქტაკლის შეფასების წესი. კონცეფცია ასევე მოიცავს სადიპლომო სპექტაკლზე მუშაობისას

განსახორციელებელი აქტივობების განაწილებას კვირების მიხედვით. **სამსახიობო ხელოვნების** მიმართულებით, პროგრამის ხელმძღვანელი მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან ერთად თავად არჩევს ხელმძღვანელ რეჟისორს, რომელიც დადგამს სადიპლომო სპექტაკლს სამსახიობო ხელოვნების მიმართულების სტუდენტებთან, პროგრამაში ჩართული, ან მოწვეული პროფესიონალი რეჟისორებისგან. ხელმძღვანელ რეჟისორს უნდა ჰქონდეს თეატრალური ხელოვნების პრაქტიკული სწავლების სულ მცირე სამწლიანი გამოცდილება. **რეჟისურის მიმართულებით,** თითოეული სტუდენტი თავად ირჩევს სადიპლომო სპექტაკლის ხელმძღვანელ რეჟისორს, პროგრამაში ჩართული პროფესიონალი რეჟისორებისგან. **ხელმძღვანელი რეჟისორი ვალდებულია:** **რეჟისურის მიმართულების არჩევის შემთხვევაში:** • მუშაობის სხვადასხვა ეტაპზე დაესწროს სარეპეტიციო პროცესს; • რეგულარული კონსულტაციები გაუწიოს მაგისტრანტებს; • მისცეს უკუკავშირი წერილობით ნაშრომზე ანალიზისთვის გამოყენებულ მეთოდოლოგიასთან, მიდგომებთან დაკავშირებით და აკადემიური სტილის მოთხოვნების შესაბამისად; • წარმოადგინოს წერითი ნაშრომისა და მუშაობის პროცესის შესახებ დასკვნა და შეფასება. **სამსახიობო ხელოვნების მიმართულების შემთხვევაში:** • დადგას სპექტაკლი სამსახიობო ჯგუფისთვის; • გაუწიოს ინდივიდუალური კონსულტაციები მაგისტრანტებს; • მისცეს უკუკავშირი წერილობით ნაშრომზე ანალიზისთვის გამოყენებულ მეთოდოლოგიასთან, მიდგომებთან დაკავშირებით და აკადემიური სტილის მოთხოვნების შესაბამისად; • წარმოადგინოს წერითი ნაშრომისა და მუშაობის პროცესის შესახებ დასკვნა და შეფასება. პროგრამის მომავალ სტუდენტს ეყოლება კვალიფიციური ხელმძღვანელი (რეჟისორი), რომელსაც აქვს შესაბამისი გამოცდილება. ვინაიდან პროგრამა ახალია, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეეფასებინა პროგრამის მაგისტრანტთა ხელმძღვანელობის პროცესი, თუმცა, პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია, შემუშავებული რეგულაციები და უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ხელმძღვანელობის პროცესი იძლევა შესაბამისი დადებითი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • სადიპლომო სპექტაკლის კონცეფცია; • თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამაში ჩართული პერსონალის პირადი საქმე; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია სავსებით შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულია ნაშრომები/სტატიები/სახელმძღვანელოები და გზამკვლევები, დადგმულია/გაფორმებულია სპექტაკლები/პერფორმანსები და ა.შ., რაც შესაბამისობაშია პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგებთან.

პროგრამის მოწვეული პერსონალი წარმოადგენს სფეროს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს. მათ გააჩნიათ სხვადასხვა უმაღლეს სახელოვნებო სასწავლებლებში პედაგოგიური და, აგრეთვე, საშემსრულებლო მიმართულებით დიდი პრაქტიკული გამოცდილება. მათ უმრავლესობას აქვთ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მასტერკლასების, ჟიურის წევრობის, კურატორობის და გამოფენებში მონაწილეობის გამოცდილება. ზოგიერთ მათგანს აქვს სახელოვნებო სტუდიების ხელმძღვანელობისა და სწავლების, ასევე საერთაშრისო ფესტივალებისა და კონფერენციების შექმნასა და მუშაობაში გამოცდილება. ზოგი არის მრავალი პროფესიული ჯილდოს მფლობელები. პროგრამაში ჩართული სადიპლომო სპექტაკლის ხელმძღვანელებს გააჩნიათ თანამედროვე ცოდნა თეატრალურ სფეროში, აქტიური მონაწილეობა აქვთ მიღებული თეატრალური პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი პირადი საქმეებით.

სასწავლო კურსების სემესტრული გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის სემესტრული დატვირთვა, რომელიც შესაბამება მათი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებებს. პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის შემუშავებისათვის

აუცილებელ ცოდნას და გამოცდილებაs ფლობს და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; შიდა თვითშეფასების ინსტრუმენტების საშუალებით შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით ჯგუფთან ერთად ის შეიმიშავებს ანგარიშს და განსაზღვრავს პროგრამის განვითარების შესაძლებლობებს.

„ანგარიში წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად. აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შესახებ. პროგრამის შემუშავების, მისი განხორციელების შეფასებისა და შესაბამისი ცვლილებების შემუშავების პროცესში ჩართულები არიან როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი, აგრეთვე სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.“ (ციტატა)

პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს და მოწვეულ ლექტორებს შორის არსებული შეფარდება (5/15), ასევე აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ ლექტორებსა და სტუდენტებს შორის თანაფარდობა (20/20) დაბალანსებულია და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება მათი პირადი საქმეებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური/ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულების ნიმუშები;
- აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- აკადემიური პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში;
- აკადემიური პერსონალის პროგრამაში დატვირთვის სქემა;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;
- აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები;
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი“ https://argus.ge/ge/
- სერვისებით კმაყოფილების კვლევის ინსტრუმენტები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის შეფასების წესი; უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული კვლევის ინსტრუენტების /კითხვარების სხვადასხვა ფორმა, რომელთა საშუალებით ხდება პერსონალის სისტემატური შეფასება. შეფასების შედეგები გამოყენებულია პერსონალის წახალისებისა და პროფესიული განვითარებისთვის. პერსონალისათვის სისტემურად ხდება სხვადასხვა სახის ტრენინგის შეთავაზება. უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), „რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულების შეთავაზებას. აღნიშნული ცენტრი დაარსდა ERASMUS+ პროექტის PRINTeL მხარდაჭერით“. (ციტატა)

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური, რომელიც გეგმავს სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერაზე მიმართულ უნივერსიტეტის შიდა საქმიანობებს, მათ შორის შიდა დაფინანსების საუნივერსიტეტო მექანიზმებს.

2017 წელს უნივერსიტეტში შეიქმნა უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგის განსაზღვრა/განვითარებასა და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესებების რეგულირებას. საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე უნივერსიტეტი ყოველწლიურად გამოჰყოფს ინსტიტუციური განვითარების გრანტებს აკადემიური პერსონალის კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების ხელშესაწყობად. იგივე 2017 წელს უნივერსიტეტი გახდა ევროკომისიის პროექტის NUCLEUS-ს კონსორციუმის წევრი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სამეცნიერო კვლევითი პროექტების გაძლიერებას და მათ ინტერნაციონალიზაციას, და ასევე ინოვაციების სტიმულირებას, სოციალურ საჭიროებებზე ორიენტირებული კვლევებს. პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტი სთავაზობს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობას წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებში, თემატურ ტრენინგებს, ლექციებსა და კონფერენციებს; კერძოდ უნივერსიტეტი აფინანსებს აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, რაც რეგულირდება აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციაში დაფინანსების წესით. რაც დასტურდება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუთი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განვითარების სამსახურის დებულება - ხელმისაწვდომია: https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46621.pdf;
- კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი - ხელმისაწვდომია https://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1090.pdf;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შეფასების წესი;
- სერვისებთან დაკავშირებით პერსონალის კვლევის ანგარიში;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი - ხელმისაწვდომია: https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46426.pdf;
- სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება; ხელმისაწვდომია: https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44379.pdf;
- უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული განახლებული ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ: აკადემიური პერსონალის მობილობა; https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/samsaxurebi-da-servisebi-7/sagareo-urtiertobebis-samsaxuri-208/gacvliti programebi;
- აკადემიური პერსონალის მობილობის მაჩვენებელი - ხელმისაწვდომია განვითარების სამსახურში;
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური პერსონალის და მასწავლებლების განვითარების ცენტრის სამოქმედო გეგმა.
- ინტერვიუები.

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში შექმნილია ყველა პირობა სტუდენტებისა და პერსონალისთვის იმ მიზნით, რომ სტუდენტებმა მიიღონ ხარისხიანი განათლება. შენობა მორგებულია სტუდენტებზე და აღჭურვილია ყველა საჭირო ტექნიკური საშუალებით. სტუდენტებისათვის მოწყობილია სამუშაო სივრცეები. მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. უნივერსიტეტში არსებობს საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი, სალექციო აუდიტორიებით, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა (ბიბლიოთეკის ფონდი და საერთაშორისო ელექტრონული ბაზები), ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად; „უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე (ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Anallytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა) ხელმისაწვდომობას, მათ შორის, არასაუნივერსიტეტო ლოკაციებიდან (ნებისმიერი კომპიუტერიდან ელექტრონული ანგარიშის მეშვეობით). “ (ციტატა)

თვითშფასებასი აღნიშნულია, რომ „ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებულ სერვისებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტრენინგებს: „სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენებისა” და „საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების გამოყენების შესახებ”. აღნიშული ტრენინგები მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს მომხმარებლისთვის გაცნობა იმ რესურსებისა და სერვისების, რომლის გამოყენებასაც ბიბლიოთეკა სთავაზობს მათ სასწავლო და კვლევით პროცესში. “ (ციტატა)

სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალურად შექმნილი ელექტრონული სისტემა „არგუსი” .

პროგრამის განსახორციელებლად უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრს. იგი არის ანტრეპრიზის პრინციპზე მომუშვე სარეპერტუარო თეატრია, რომლის ბაზაზეც ხორციელდება პროგრამის ძირითადი პრაქტიკული კურსები. „ილიაუნის თეატრის ინფრასტრუქტურა მოიცავს: სარეპეტიციო დარბაზებს, საგრიმიოროებს, სადეკორაციო, სარეკვიზიტო სათავსოებს, განათებისა და გახმოვანების აპარატურით აღჭურვილ თეატრალურ დარბაზს, გარდერობს და, აგრეთვე, მცირე სადეკორაციო საამქროს საჭირო დეკორაციის დასამზადებლად. სრული ინფორმაცია თეატრის შესახებ ხელმისაწვდომია თეატრის ვებ გვერდზე www.iliaunitheatre.ge “ (ციტატა).

პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს აქვს პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები.; კერძოდ, პრაქტიკის გასავლელად უნივერსიტეტი ითანამშრომლებს თბილისის ოპერისა და ბალეტის და თოჯინების თეატრებთან განსაზღვრული პირობებით. ეს თეატრები შერჩეულია იმ მიზნით, რომ სტუდენტებმა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება ყველა სპეციფიკის თეატრალურ გარემოში სრულფასოვნად მოახდინონ. და არ იყვნენ დამოკიდებული მხოლოდ ილიაუნის დრამატულ თეატრზე. პროგრამა, ასევე, მჭიდროდ თანამშრომლობს

საქართველოს სხვა თეატრებთან მასტერკლასების მიმართულებით და სხვადასხვა ფესტივალებთან. კერძოდ: ბათუმის მონო პიესების ფესტივალი, ახალი დრამის ფესტივალი, გორის კომედიის ფესტივალი, წიგნის ფესტივალის ფარგლებში პროექტთან "მსახიობები ლიტერატურისთვის". მიუხედავად იმისა, რომ საკვალიფიკაციო ნაშრომების/სადიპლომო სპექტაკლების დასაფინანსებლად ფიქსირებული თანხა არ არსებობს, დაგეგმილია დიპლომები აუცილებლობისდამიხედვით დაფინანსება. **აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს დადასტურდა პროგრამის განხორციელების პერიოდში ილიაუნის თეატრში სარემონტო სამუშაოების წარმოება და თეატრალური აღჭურვისათვის საჭირო ახალი ტექნიკის მიღება.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი" https://argus.ge/ge/; • ილიაუნის თეატრი - www.iliaunitheatre.ge; • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები https://library.iliauni.edu.ge; • ელექტრონული სწავლების პორტალი: https://elearning.iliauni.edu.ge/; • ხელშეკრულება Turnitin სერვისის ლიცენზიის გადაცემის შესახებ - ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში; • ტექნიკური აღჭურვილობის შეფარდება სტუდენტების მოსალოდნელ რაოდენობასთან - ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების სამსახურში; • ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტები - ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და მატერიალური რესურსების სამსახურში; • საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები; • სერვისების შეფასების კითხვარი - სტუდენტები. • მემორანდუმი - ოპერისა და ბალეტის თეატრი; • მემორანდუმი - თოჯინების თეატრი; • ვიზიტი ილიაუნის თეატრში.
რეკომენდაციები -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის მდგრადობის ერთ-ერთი გარანტს წარმოადგენს საერთო საუნივერსიტეტო/საფაკულტეტო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მნიშვნელოვანი რესურსი: „ გრძელვადიანი მხარდაჭერის მიზნით, პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული იქნება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის სალექციო და სარეპეტიციო სივრცეები და თეატრალური დარბაზი." „ყველა პროგრამის სტუდენტებისათვის უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ელექტრონულ (სამეცნიერო და საგანმანათლებლო) ბაზებზე წვდომა, ხოლო პროგრამის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პერსონალი. პროგრამაში ჩართულები იქნებიან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. " (ციტატა)

ასევე პროგრამის განმავლობაში შექმნილი და ილიაუნის თეატრის რეპერტუარში შესული საუკეთესო სპექტაკლებიდან (ბილეთების გაყიდვიდან) მიღებული შემოსავალი მოხმარდება პროგრამის განვითარებასა და სტუდენტების საჭიროებისამებრ დაფინანსებას. თვითშეფასების ანგარიშს თან ერთვის პროგრამის სრულ ვადაზე (2 წელი) ფინანსური რესურსის უზრუნველყოფის შესახებ დოკუმენტი. წარმოდგენილი ბიუჯეტის შემოსავალი შედგება 20 სტუდენტის გადასახადისგან (წელიწადში 2,250.00 ლარი). ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებულია: პროგრამებში ჩართული პერსონალის შრომის ანაზღაურების, სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად საჭირო ტექნიკის, ინვენტარისა და სახარჯი მასალების, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები და სხვა. 20 სტუდენტის მიღების შემთხვევაში 2 წლის ბუჯეტი შეადგენს 90,000.00 ლარს. ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები და ხარჯები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ამასთანავე ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძრვანელთან ინტერვიუს დროს დაისვა კითხვა პროგრამის ფინანსურ მდგრადობაზე იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე მოსულ სტუდენტთა რაოდენობა მკვეთრად ნაკლები იქნება ვიდერე 20; მაგალითად 10 სტუდენტი. ამაზე პასუხად ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ არ ელიან პროგრამისგან ფინანსურ მოგებას და საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი, როგორც ფინანსურად ძლიერო ორგანიზაცია, გასწევს სათანადო ხარჯებს. **აღსანიშნავია, რომ** უნივერსიტეტი წარმოადგენს რა გრძელვადიანად ფინანსურად სტაბილურ და მდგრად ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია თავისი ვალდებულებების სრულად, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულება, **პროგრამა უზრუნველყოფილი იქნება ფინანსურად, იმ შემთხვევაშიც კი თუ იქნება დოტაციური.** უნივერსიტეტის შემოსავლები არის სტაბილური და პროგნოზირებადი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის ბიუჯეტი. • ინტერვიუები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და

აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის სტანდარტებთა შედარების მიზნით წარმოდგენილი იყო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ***ცოცხალი თეატრის ხელოვნება***. აკრედიტაციის საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად, განათლების სისტემის წინაშე არსებული უახლეს გამოწვევებიდან გამომდინარე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარ საქმიანობას წარმართავს რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით: სწავლა-სწავლება, კვლევა, მართვა და სერვისები. ამ მიზნით სამსახურის მიერ შემუშავებულია და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია კონკრეტული რეგულაციები, პროცედურებისა და პროცესების აღმწერი სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომელთაც საფუძვლად უდევს არამარტო საერთაშორისო რეგულაციები და დოკუმენტები, არამედ საქართველოს კანონდებლობის მნიშვნელოვანი ნორმები და რეგულაციები, რაც მიზნად ისახავს ინსტიტუციაში ხარისხის კულტურის ამაღლებასა და გაძლიერებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსაური ეყრდნობა უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებს, დარგების სპეციფიკას, საზოგადოების მოთხოვნებსა და უახლეს გამოწვევებს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში და აქტიური თანამშრომლობით მხარს უჭერს თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამას, არეგულირებს, აწესრიგებს და მართავს ყველა მნიშვნელოვან აკადემიურ პროცესს საუნივერსიტეტო სივრცეში. მას დეტალურად აქვს გათვლილი ინსტიტუციური მართვის ყოველი დეტალი, გეგმავს, აახლებს, ავითარებს და აზიარებს სიახლეებსა და ინოვაციებს, რომელიც მკვიდრდება არამარტო ქართულ, არამედ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. ინსტიტუციაში არსებული მარეგულირებელი დოკუმენტების მორგება ხდება საფაკულტეტო და დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე. ფაკულტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ინდივიდუალურად ხედავს ცალკეულ პროგრამას, ითვალისწინებს მის სპეციფიკას, აფასებს კონკრეტულ პროცესებს, ავითარებს მათ და მხარს უჭერს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლა-სწავლების, კვლევისა და სერვისების პროცესების გაუმჯობესებაში. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დეტალურად აქვს გაწერილი და დარეგულირებული საკუთარი ქმედებისა და საქმიანობის სფეროები და არეალი, რაც ექსპერტთათვის ხელმისაწვდომი გახდა შემდეგი წესებისა და მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობის შემდეგ: ➢ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ➢ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; ➢ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი; ➢ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები; ➢ პროგრამით კმაყოფილების დებულება; ➢ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; ➢ სტუდენტური სერვისების მიწოდების, შეფასების და ანგარიშგების წესი. მოცემული დოკუმენტების შემუშავება მოხდა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG), საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, უნივერსიტეტის წესდების, მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმისა და სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციების მიხედვით. ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამის აკრედიტაციის პროცესში დაიგეგმა და განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან

(შოტლანდიის კონსერვატორია, მონპელიეს ეროვნულ თეატრთან არსებული დრამატული ხელოვნების უმაღლესი ეროვნული სკოლა, გოლდსმიტის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამები სათეატრო მიმართულებით, იელის დრამატული სკოლა, როიალ ჰოლოუეუს უნივერსიტეტი). საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების პროცესში ასევე ჩართულები იყვნენ უცხოელი პარტნიორები, რაც დადასტურდა ინტერვიუების შემდგომ. თუმცა სასურველი იყო, რომ უმაღლეს სასწავლებელს წარმოედგინა სტანდარტთან შედარების მასალები (ე.წ. ბენჩმარკის ანალიზის შედეგები), რაც ხელს შეუწყობდა საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ განვითარებას. წინამდებარე პრაქტიკა მით უფრო სასურველია, როდესაც პროგრამის განმახორციელებელი პირები სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან ცდილობენ საუკეთესო პრაქტიკის განვითარებას და ეროვნული გამოცდილებიდან გამომდინარე აყალიბებენ საგანმანათლებლო პროგრამას ექსპერიმენტულ კონცენფციაზე დაყრდნობით.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო დოკუმენტების განახლება ხდება პერიოდულად მიმდინარე სიახლეებისა (როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი წაყენებული ახალი მოთხოვნების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დეტალურად აქვს სამსახურის მოქმედების შიდა მექანიზმები გაწერილი.

სამსახური მუშაობს პრინციპით: ***დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე - განავითარე***.

შიდა მექანიზმების საშუალებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ატარებს კვლევებს, ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესების მონიტორინგს, აანალიზებს კვლევისა და მონიტორინგის შედეგებს და გაანალიზებული ინფორმაციის გაზიარება ხდება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან. პროგრამის განმახორციელებელი პირები ეცნობიან კვლევის შედეგებს (მათ შორის ბაზრის კვლევის.), ითვალისწინებენ პროგრამით დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს. სამსახური მუდმივ კომუნიკაციაშია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და იხილავს არამარტო კვლევის შედეგებსა და მათ გაუმჯობესების საკითხებს, არამედ სამსახურთან ერთად იგეგმება მათი გაუმჯობესების ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს ხარისხის მექანიზმების გაუმჯობესებას. გარდა ამისა ის უზრუნველყოფს არაერთი საუნივერსიტეტო პროცესის მხარდაჭრას.

ამ ეტაპზე მოცემული საგანმანათლებლო პროგრამა არის ახალი, მიუედავად ამის პირველი შეფასების პროცესი, რომელიც გულისხმობს თვითშეფასების დოკუმენტის მომზადებას წარიმართა აქტიურად, მასში მონაწილეობა მიიღო მეტწილად აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა. სააკრედიტაციო პორთფოლიოში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სამუშაოს კმაყოფილების კვლევის მასალებს, რომელიც არის ერთობ დეტალური და ფართო. ასევე უნდა მოხსენიებულ იქნას სტუდენტური სერვისების ფაქტობრივად ფუნდამენტური კვლევა, რომელიც შესრულებულია 2018 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევების განყოფილების მიერ, რომელიც მიზნად ისახავდა უნივერსიტეტში არსებული სერვისების შეფასება საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების ჩართულობით. ანალიზის შედეგად გამოკვეთილის სტუდენტთა 20-მდე რეკომენდაცია, რომელიც ეტაპობრივად დღემდე ხორციელდება. მეორე ეტაპი წინამდებარე კვლევის, რომლის რესპონდენტები იყო აკადემიური პერსონალი, ასევე მნიშვნელოვანი აღოჩნდა, სადაც აკადემიური პერსოანლის 9%-მა გამოთქვა სურვილი ცალკეული სერვისების გაუმჯობესების შესახებ. საინტერესო იქნება ინსტიტუციამ ჩაატაროს განახლებული კვლევა, რათა მოხდეს კვლევის შედეგების შეჯერება.

ინტერვიუებიდან და დოკუმენტური მასალის გაცნობის შემდგომ გამოჩნდა, რომ ინსტიტუცია მნიშვნელოვან როლს ანიჭებს შიდა ხარისხის პერიოდულ შეფასებას, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ახლია არ იყო წარმოდგენილი სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური კვლევები საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, რაც განხორციელდება შემდგომ ეტაპზე, ვინაიდან ინსტიტუციას ამის საუკეთესო გამოცდილება აქვს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცეფცია;
- სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- კვლევის ინსტრუმენტები;
- სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უმაღლეს სასწავლებელმა წარმოადგინოს სტანდარტთან შედარების მასალები (ე.წ. ბენჩმარკის ანალიზის შედეგები), საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით;
- სერვისების განვითარებაზე დაკვირვებისა და კვლევის შედეგების შეჯერების მიზნით სასურველია განმერეობით მომზადდეს სტუდენტური სერვისების კვლევა;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

ხარისხის მექანიზმების აქტიური გამოყენება ხარისხის შიდა შეფასების სეგმენტში, აქტიური კვლევების ინსტიტუციური განვითარების ყველა სექტორში, ხარისხის უზრუნველყოფის კვლევების სამსახურის აქტიური ჩართოლობა კვლევის პროცესებში, შედეგების ანალიზი და ინსტიტუციური გაზიარების ტრადიცია შემდგომი რეაგირების მიზნით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე შეფასების ფარგლებში, როგორიცაა ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მოსამზადებელი ფაზების ზუსტად და მიზნობივად ჩამოყალიბების მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განსხვავებულ ინსტრუმენტებს იყენებს. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები დეტალურად ანალიზდება და განიხილება პროგრამის განმახორციელებელი და პროგრამით დაინტერესებული მხარეების მიერ და შესაბამისად აისახება საგანმანათლებლო პროგრამაში. რეაკრედიტაციის მიზნით განახლებულ პროგრამაში ასახვა ჰპოვა, არამხოლოდ შეფასების გარკვეულმა ნაწილმა, არამედ ის მისადაგებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ წაყენებულ ახალ მოთხოვნებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის განახლებისა და განვითარების პროცესში განმახორციელებელი პირებმა მოქმედებაში მოიყვანეს გარე შეფასების ცალკეული მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო კონცეფციის წარმოდგენამდე. გარე შეფასების აქტივობებიდან უნდა დასახელდეს დამსაქმებელთა კონკრეტული პოზიციები, რომელშიც ინტერვიუირების პროცესში კარგად გამოიკვეთა დამსაქმებელთა (6 ერთეული) მხარდამჭერი პოზიცია საგანმანათლებლო პროგრამისადმი. პროგრამამ წარმოადგინა უცხოელი დარგის ექსპერტთა (2 ერთეული) მარდამჭერი წერილები, უცოელმა კოლეგებმა აღნიშნეს საგანმანათლებლო პროგრამის საინტერესო კონცეფცია - პრაქტიკისა და თეორიის კოჰერენტულობა, სახელოსნოს პრინციპზე დამყარებული რეჟისორისა და მსახიობის კოლაბორაციული პროდუცირება და ქართული თეატრალური ტრადიციების საერთაშორისო გამოცდილებასთან ჰარმონიზაციაა და ამ მონაცემებზე ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფცია, რაც მომავლის თეატრის განვითარებას უწყობს ხელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბაზარზე მოთხოვნის ანალიზი;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის ანგარიში;
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესში ილიას სალმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმებს, რომელთა შედეგების დამუშავება და ანალიზი რეალურ სურათს იძლევა საგანმანათლებლო პროგრამის არსებით ვითარებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია ასევე შიდა ხარისხის კონცეფცია, რომელიც უშვებს შიდა და გარე აქტორების მონაწილეობას შეფასების (მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების) პროცესში, შეფასების შედეგების გამოყენება ხდება როგორც სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის, ისე უნივერსიტეტში სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა განიხილავს რამდენიმე პრინციპულ მიდგომას მონიტორინგის პროცესში, კონკრეტულად კი, მონიტორინგის ფარგლებში აქტივობები არის გამჭვირვალე, გაზიარებული, მხარეთა აქტიური ჩართულობით, განგრძობითი, დამყარებული აკადემიურ კეთილსინდისერებასა და თავისუფლებაზე, დაფარული ანგარიშვალდებულებით. რაც შეეება ინსტიტუციაში მიმდინარე პერმანენტულ კვლევებს/შეფასებებს, რომლებიც აგებულია თვისებრივ, რაოდენობრივ და შერეულ მიდგომებზე და ითვალისწინებს შემდეგ სტანდარტებს: ➢ გამოყენებაზე და საჭიროებაზე ორიენტირებულობა; ➢ რეალისტური, ეფექტური და ეფექტიანი განხორციელებადობა; ➢ ეთიკურობა; ➢ სიზუსტე, მართებულობა; ➢ ანგარიშვალდებულება. მოცემულ სტანდარტებსა და სისტემურობაზე დამყარებული პროცესები იძლევა ლონგიდუტური მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვბისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრის შესაძლებლობას. პროგრამის პრობლემატიკის კონკრეტული კვლევების განხორციელება ხდება მიზნობრივად საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების საფუძველზე. წინამდებარე კვლევები შეიძლება გამოიწვიოს შემდეგმა თემებმა: დაბალი აკადემიური მოსწრება, სპეციალური საჭიროებების მქონე, უცხოელი/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა საჭიროებების კვლევა და ა.შ. წინამდებარე კვლევების პროცესი ეფუძნება როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ მეთოდებს, რაც ხორციელდება წინასწარ შემუშავებული ან ad-hoc შექმნილი ინსტრუმენტებით. კვლევების შემდგომ მიზნობრივ ჯგუფებთან, განიხილება საბოლოო დასკვნები და რეკომენდაციები, რომელიც გაზირებულია როგორც პროგრამის განახორციელებელ პერსონალთან, ისე ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შემდგომი რეაგირებისთვის. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამა დაექვემდებაროს მოდიფიკაციას. წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის შემდეგ პერიოდულად სხვადასხვა რაკურსში დაექვემდებარება შეფასებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, მექანიზმები, ინსტრუმენტები; • პროგრამის განხორციელების შეფასების წესი; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; • ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.
რეკომენდაციები -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში) -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში) -

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:
ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში

სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42 გვ.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
ნინო გუნია-კუზნეცოვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის



თამაზ ბოლქვაძე

გიორგი ქანთარია

ნინო ქიმერიძე

თინათინ გაბრიჩიძე